



**B | S | T** The Black Sea Trust  
for Regional Cooperation  
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

# 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გარემოს შეფასება

(ფინალური ანგარიში )

# სარჩევი

შესავალი .....	3
ძირითადი მიგნებები .....	4
მონიტორინგის მეთოდოლოგია.....	7
1. პოლიტიკური კონტექსტი .....	9
2. საარჩევნო კანონმდებლობის მიმოხილვა და არსებული გამოწვევები.....	10
3. ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულ და სოციალურად დაუცველ პირთა რიცხვის რეკორდული ზრდა.....	14
3.1. დასაქმება მერიებში, საკრებულოების აპარატებსა და მუნიციპალურ ორგანიზაციებში .....	14
საკრებულოების აპარატები.....	14
მუნიციპალიტეტის მერიები .....	15
მუნიციპალური ა(ა)იპ-ები.....	15
3.2. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	16
4. წინასაარჩევნოდ ინიცირებული პროექტები/პროგრამები და სხვა სახის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.....	18
4.1. საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებსაც წინასაარჩევნო გარემოზე გავლენის მოხდენა შეეძლოთ .....	18
4.2. პროგრამები/პროექტები და ინიციატივები, რომლებმაც, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა წინასაარჩევნო გარემოზე.....	20
4.2.1. პროგრამები .....	21
4.2.2. ინიციატივები.....	23
4.2.3. ინფრასტრუქტურული პროექტები.....	25
4.2.4. სავარაუდოდ ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევები.....	29
4.3. საჯარო მოსამსახურეების პარტიულ ღონისძიებებში მონაწილეობა .....	30
4.4. სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტით ორგანიზებულ ღონისძიებებში საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობა .....	32
5. წინასაარჩევნო პერიოდში ფიზიკური თავდასხმების, საარჩევნო კამპანიისთვის ხელისშემლის და ზეწოლის ფაქტები .....	34
5.1. საარჩევნო სუბიექტებზე თავდასხმებისა და საარჩევნო კამპანიისთვის ხელისშემლის ფაქტები .....	35
5.2. ამომრჩევლებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევები.....	37
5.3. საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გათავისუფლების შემთხვევები .....	38

5.4. საოფისე ფართების დაქირავებისას შექმნილი სირთულეები .....	39
6. კენჭისყრის დღე.....	40
6.1. ხმის ფარულობის დარღვევა .....	40
6.2. დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა.....	42
6.3. მარკირების წესების დარღვევა .....	43
6.4. კენჭისყრის დღეს საარჩევნო სუბიექტებზე, მედიასა და დამკვირვებლებზე თავდასხმების ფაქტები.....	44
6.5. სხვა შემთხვევები .....	47
7. პოლიტიკური პარტიების შემოწირულებები .....	47
7.1. საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი.....	47
7.2. პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო შემოწირულებები.....	49
პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ .....	50
პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის ძალა“ .....	53
პოლიტიკური გაერთიანება „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ .....	55
პოლიტიკური გაერთიანება „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ .....	56
პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ .....	57
პოლიტიკური გაერთიანება „გახარია საქართველოსთვის“ .....	57
პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ შემოწირულებები.....	58
7.3. პოლიტიკური გაერთიანებების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში რეკლამაში დახარჯული თანხა .....	58

## შესავალი

2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოში მორიგი საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული წესით პირველად ჩატარდა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანია არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე, 2024 წლის 27 აგვისტოს ოფიციალურად დაიწყო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საპარლამენტო არჩევნები შესაბამისი განკარგულებით დანიშნა.

დოკუმენტის საანგარიშო პერიოდი 2024 წლის 27 აგვისტო - 31 დეკემბერია. დემოკრატიის კვლევის ცენტრი წინასაარჩევნო გარემოს წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყების პირველივე დღიდან აკვირდებოდა. თუმცა, ანგარიშში, როგორც საარჩევნო კამპანიის

დაწყებამდე, ისე, კენჭისყრის დღის შემდეგ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებიც არის ასახული. ანგარიშში ასევე განხილულია ძირითადი საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების საკითხიც.

მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, ანგარიშში გაანალიზებულია:

- წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები
- საჯარო მოხელეებზე პოლიტიკური ნიშნით განხორციელებული ზეწოლისა და სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები
- ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და მხარდამჭერებზე, ასევე, ჟურნალისტებზე თავდასხმის შემთხვევები
- წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტების საქმიანობისთვის ხელის შეშლის ფაქტები
- წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მმართველი პარტიის სააგიტაციო შეხვედრებში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობის შემთხვევები
- პროგრამები, ინიციატივები და ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელება, შესაძლოა, კანონდარღვევას არ წარმოადგენდა, თუმცა, არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა საარჩევნო სუბიექტები
- საჯარო სექტორში დასაქმებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამორთმევის შესახებ გავრცელებული სარწმუნო ინფორმაციის ანალიზი
- საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევები
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზებულ ღონისძიებებში საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობის ფაქტები
- კენჭისყრის დღეს მომხდარი მასშტაბური და სისტემური ხასიათის დარღვევები
- წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში პოლიტიკური პარტიების შემოწირულობები.

## ძირითადი მიგნებები

- წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით გამწვავდა პოლიტიკური პოლარიზაცია, რაც, მეტწილად, „ქართული ოცნების“ ანტიევროპული განცხადებებით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებითა და არჩევნების შემდეგ ოპოზიციური პარტიების აკრძალვის შესახებ მმართველი პარტიის წინასაარჩევნო „დაპირებით“ იყო გამოწვეული.
- „ქართულმა ოცნებამ“ საკანონმდებლო პროცესი წინასაარჩევნო მიზნებისთვის გამოიყენა. არჩევნების დანიშვნის დღის შემდეგ მიღებული რამდენიმე საკანონმდებლო აქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი მიღების მიზანი წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა ფართო ჯგუფის კეთილგანწყობის მოპოვება იყო.
- 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს საარსებო დახმარება დაახლოებით 47 ათასი ადამიანით მეტმა მიიღო. 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით, შემწეობის მიმღებთა რაოდენობამ რეკორდული რიცხვი - 690,496 ადამიანი შეადგინა, რაც საქართველოს მოსახლეობის ასევე რეკორდული - 18.6 %-ია.
- 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს თითქმის ყველა საკრებულოში (თბილისის საკრებულოს ჩათვლით) დაფიქსირდა შტატების რაოდენობის ან/და სახელფასო

ფონდის საგრძნობი ზრდა. არსებული მონაცემებით, 2024 წელს ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების რაოდენობის ზრდამ საკრებულოების აპარატებში ჯამურად 7% შეადგინა. საკრებულოების აპარატებში შტატებისა და ხელფასების საერთო მატების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით მთლიანი სახელფასო ფონდი 12%-ით გაიზარდა.

- მთლიანობაში, თბილისის გარდა, მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა დაახლოებით 16%-ით გაზარდეს საკუთარი აპარატების შრომის ანაზღაურების ფონდი.
- თბილისის საკრებულოში ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობის 5%-ით შემცირების მიუხედავად, აპარატის მთლიანი სახელფასო ფონდი თითქმის 10%-ით გაიზარდა.
- იმ მუნიციპალიტეტების მერიებში, რომლებმაც საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდეს, 2023 წელთან შედარებით, მთლიანი სახელფასო ფონდი 2024 წელს 10%-ით არის გაზრდილი.
- ერთი მუნიციპალური ა(ა)იპ 2023 წელს საშუალოდ 121, ხოლო 2024 წელს - 126 პირს ასაქმებდა. ასეთ ორგანიზაციებში ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებით, საშუალო ხელფასი გასულ წელს 678 ლარს უტოლდებოდა, ხოლო 2024 წელს 13%-ით მეტი - 765 ლარი შეადგინა.
- ა(ა)იპ-ებიდან მიღებული რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება გვაჩვენებს, რომ მიუხედავად ფუნქციების არსებითად უცვლელიობისა, 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, მთლიანი სახელფასო ფონდი დაახლოებით 17%-ით, ხოლო სამუშაო ადგილების რაოდენობა - 3.5%-ით გაიზარდა.
- წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად დაწყების შემდეგ 2024 წლის ბოლომდე, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, საქართველოს საპატრიარქოს ერთ ლარად გადაეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობები.
- 2024 წლის აგვისტოდან ინტენსიური ხასიათი მიიღო სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტებისა და პროგრამების ინიცირება-განხორციელებამ, რაც ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენებად უნდა შეფასდეს.
- კენჭისყრის დღემდე (2024 წლის 26 ოქტომბრამდე) ინიცირებული პროგრამები/ინიციატივები ძირითადად მიმართული იყო ახალგაზრდებზე. ხშირად, პროგრამების/ინიციატივების ნაწილი ფინანსური სარგებლის მიღებას ითვალისწინებდა, რაც თავის მხრივ, ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს შეიცავდა.
- წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს მთავრობამ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, საქართველოს რვა მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტში წლების განმავლობაში მორჩენილი 1,082,961 (ერთი მილიონ ოთხმოცდაორი ათას ცხრაას სამოცდაერთი) ლარი გადასცა.
- მმართველმა პარტიამ საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდს დაამთხვია. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების სახელისუფლებო პარტიასთან გაიგივებამ, რასაც ხელს უწყობდა პროექტების დასრულების ცერემონიაზე „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის კანდიდატების დასწრება, წაშალა ზღვარი სახელმწიფოსა და „ქართულ ოცნებას“ შორის და უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენა სხვა საარჩევნო სუბიექტები.

- 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ოპოზიციური პარტიების საარჩევნო კამპანიისთვის ძალადობრივად ხელის შეშლის შემთხვევები გახშირდა. ანგარიშში, კენჭისყრის დღის ჩათვლით მომხდარი ძალადობის მხოლოდ ის 30 შემთხვევაა განხილული, რომლებიც რამდენიმე დამატებით წყაროსთან გადავამოწმეთ.
- მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში პარტიების წარმომადგენლებმა ადგილზე გადაღებული ვიდეო მასალის მეშვეობით თავად მოახერხეს თავდამსხმელი პირების იდენტიფიცირება, საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის, მოჰყვა თუ არა სამართლებრივი რეაგირება თავდასხმის რომელიმე ფაქტს.
- რამდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელი წყაროს ინფორმაციით, წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს და სოციალურად დაუცველ ადამიანებს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტები ნების საწინააღმდეგოდ გამოართვეს. მსგავსი მეთოდების გამოყენება ემსახურებოდა როგორც შიშის დანერგვის მცდელობას, ასევე, არჩევნების დღეს კენჭისყრის შედეგებზე გავლენის მოხდენას.
- წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ოპოზიციურ საარჩევნო სუბიექტებს ხელი ეშლებოდათ რეგიონებში საოფისე ფართების დაქირავებაში.
- 2024 წლის აგვისტოში სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს სკოლის დირექტორები და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი. ანგარიშში სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლების მხოლოდ ის შემთხვევებია განხილული, რომელიც რამდენიმე წყაროსთან გადავამოწმეთ.
- გასული წლების მსგავსად, მმართველი პარტია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულებების ადამიანურ რესურსს იყენებდა. ხელმძღვანელთა დავალებით სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგები და სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლები არაერთხელ წაიყვანეს პარტიულ ღონისძიებებზე; ადგილი ჰქონდა სამუშაო საათებში სკოლის პედაგოგების პარტიულ ღონისძიებაში მონაწილეობის ფაქტებს, რაც კანონდარღვევას წარმოადგენს.
- წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიის დელეგატები მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ, რამაც წაშალა ზღვარი სახელმწიფოსა და სახელისუფლებო პარტიას შორის და უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენა საარჩევნო სუბიექტები.
- ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ვერ პასუხობს პოლიტიკური პარტიების შემოწირულებების ნაწილში არსებულ გამოწვევებს და ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- წინასაარჩევნო პერიოდში ხუთი პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ჯამური დაფინანსება 39 მილიონ ლარს აღემატებოდა, აქედან 16 მილიონ ლარზე მეტი „ქართულ ოცნებას“ შესწირეს.
- „ქართული ოცნების“ შემომწირველი 298 ფიზიკური პირიდან, 162 ადამიანი უძრავ ქონებას არ ფლობს. თითოეულმა მათგანმა მმართველ პარტიას საშუალოდ 10,000 ლარზე მეტი შესწირა.
- მმართველი პარტიის შემომწირველები ძირითადად ის ბიზნესმენები იყვნენ, რომელთა კომპანიები წლების განმავლობაში მილიონობით ლარის ტენდერებს იგებდნენ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

- მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის ფიგურირებდნენ ყოფილი და ამჟამინდელი მაღალჩინოსნები და მათთან დაახლოებული პირები.
- 27 პოლიტიკური პარტიიდან რეკლამაში თანხა მხოლოდ ექვსმა პარტიამ დახარჯა. შემოწირულებების მსგავსად, ყველაზე მეტი ფული რეკლამაში მმართველმა გუნდმა დახარჯა. საარჩევნო რეკლამაში დახარჯული დეკლარირებული თანხა ორ მილიონ ლარს აღემატებოდა.
- 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღე მძიმე დარღვევების ფონზე ჩატარდა, რამაც ეჭვქვეშ დააყენა კენჭისყრის შედეგების ლეგიტიმურობა.
- კენჭისყრის დღეს დარღვევების მასშტაბურობასა და სისტემურობას ხელი შეუწყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 16 აგვისტოს დადგენილებამ, რამაც კენჭისყრის დღეს საუბნო კომისიის წევრებს შორის ფუნქციების წილისყრით განაწილების წესი შეცვალა.
- კენჭისყრის დღეს ყველა საარჩევნო უბანზე, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდა, სისტემურად დაირღვა ხმის ფარულობის კონსტიტუციური პრინციპი.
- საარჩევნო უბნებზე საარჩევნო ყუთთან „ქართული ოცნების“ კამერების განლაგებამ ამომრჩევლებში ზედმეტი წნეხის, ფარულობის დარღვევისა და ზეწოლის განცდა გააჩინა.
- საარჩევნო უბნებზე სისტემურად და უხეშად ირღვეოდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებელთა უფლებები.
- კენჭისყრის დღეს მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ამომრჩეველთა მარკირების და მარკირების შემოწმების სისტემური დარღვევა.
- საარჩევნო უბნებზე ასევე დაფიქსირდა: დამკვირვებლისთვის ორი ბიულეტენის გადაცემის, ძველი ან/და დაზიანებული (გატეხილი) პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით ხმის მიცემის და ტექნოლოგიური მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლის ფაქტები.

## მონიტორინგის მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტის საანგარიშო პერიოდი 2024 წლის 27 აგვისტო - 31 დეკემბერია. თუმცა, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ანგარიშში 2024 წლის 27 აგვისტომდე მომხდარი ფაქტებიც არის თავმოყრილი.

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, წინასაარჩევნო კამპანიის და კენჭისყრის დღის დაკვირვების პროცესში შემდეგი მეთოდოლოგია გამოვიყენეთ:

**სოციალური ქსელების მონიტორინგი** - წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტების კამპანიის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ორგანიზაციის ოთხი მონიტორი პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების სოციალური ქსელების ანგარიშების ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებდა. დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული წესით ჩატარდა, „ქართულმა ოცნებამ“

საარჩევნო ოლქებში თავისი დელეგატები წარადგინა. შესაბამისად, პროექტის მიზნებისთვის, მმართველი პარტიის დელეგატების სოციალური ქსელების ანგარიშებს ყოველდღიურ რეჟიმში ვამოწმებდით.

პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების გარდა, პროექტის გუნდი ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარისა და სხვა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების ანგარიშებს სოციალურ ქსელებში.

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენების შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით, დაკვირვების ქვეშ მოექცა 64 თვითმმართველი თემისა და 5 თვითმმართველი ქალაქის მერიებისა და საკრებულოების, ასევე, მერებისა და საკრებულოს თავმჯდომარეების სოციალური ქსელების ანგარიშებზე გამოქვეყნებული მასალები. აგრეთვე, საგანმანათლებლო რესურსცენტრების, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ადგილობრივი საოლქო საარჩევნო კომისიების ანგარიშები სოციალურ ქსელებში.

**მედია მონიტორინგი** - ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სამთავრობო და ოპოზიციური მედია არხებისა და მათი სოციალური ქსელების ანგარიშებზე ატვირთული მასალების მედიამონიტორინგი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და საარჩევნო პერიოდში ჩადენილი დარღვევების იდენტიფიცირების მიზნით.

**გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზი** - დემოკრატიის კვლევის ცენტრმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან 2023-2024 წლებში მუნიციპალიტეტებში არსებული სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა. გარდა ამისა, საარჩევნო სუბიექტების შემოწირულებების შესწავლის მიზნით, რეგულარულად ვსწავლობდით ანტიკორუფციული ბიუროს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას.

**საკანონმდებლო ბაზის ანალიზი** - პროექტის იურისტების გუნდმა შეისწავლა და გააანალიზა როგორც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი სტანდარტები.

სოციალური ქსელებისა და მედიამონიტორინგის გზით მიღებული ინფორმაციის სანდოობას დემოკრატიის კვლევის ცენტრი რამდენიმე წყაროსთან ამოწმებდა.

**კვლევის შეზღუდვა** - შეზღუდული ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, კვლევის ძირითადი მიგნებები მედიამონიტორინგისა და სოციალური ქსელების მონიტორინგის შედეგებს ეყრდნობა. ორგანიზაციას არ ჰქონდა შესაძლებლობა, წინასაარჩევნო გარემოს მუნიციპალიტეტების დონეზე ადგილზე დაკვირვებოდა. მიუხედავად ამისა, ანგარიშის ყველა მიგნება გადამოწმებულია რამდენიმე წყაროსთან.

კენჭისყრის დღეს დემოკრატიის კვლევის ცენტრის წარმომადგენლები კენჭისყრის პროცესს რამდენიმე საარჩევნო უბანზე უშუალოდ აკვირდებოდნენ. ორგანიზაციის იურისტები ასევე იმყოფებოდნენ კოალიცია „ჩემი ხმის“ საინფორმაციო ცენტრში და მუდმივ რეჟიმში იღებდნენ ინფორმაციას სხვადასხვა ოლქის საარჩევნო უბნებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. ამასთან, დამუშავდა სხვადასხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების, პოლიტიკური აქტორებისა და მედიის მიერ გასაჯაროებული მასალები.



# 1. პოლიტიკური კონტექსტი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს წინა საპარლამენტო არჩევნებისგან რამდენიმე ფუნდამენტური სიახლე გამოარჩევდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, საპარლამენტო არჩევნები 2024 წელს სრულად პროპორციული წესით ჩატარდა. აღნიშნულ ცვლილებას წინ უძღოდა არაერთი პოლიტიკური კრიზისი და მასობრივი საპროტესტო აქციები.

2019 წლის ივნისში, საპროტესტო აქციების მონაწილეების ერთ-ერთ მოთხოვნას საპარლამენტო არჩევნების შერეული სისტემიდან სრულად პროპორციულზე გადასვლა წარმოადგენდა.<sup>1</sup> მიუხედავად მმართველი პარტიის დაპირებისა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები კვლავ შერეული სისტემით ჩატარდა. სრულად პროპორციული წესით არჩევნების ჩატარების წლად კი 2024 წელი განისაზღვრა.

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის კიდევ ერთი ფუნდამენტური სიახლე კენჭისყრის პროცესის ელექტრონული წესის გამოყენებით ჩატარება იყო. საარჩევნო კოდექსში ელექტრონული წესით არჩევნების ჩატარების შესახებ ჩანაწერი პირველად 2022 წლის ოქტომბერში გაჩნდა. 2024 წლის 26 ოქტომბერს ქვეყნის მასშტაბით შექმნილი 3,030 საარჩევნო უბნიდან, 2,263 საარჩევნო უბანზე კენჭისყრა ელექტრონული წესის გამოყენებით ჩატარდა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის წინასაარჩევნო კამპანია მკვეთრად პოლარიზებულ გარემოში წარიმართა. მიუხედავად მოლოდინისა, რომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი პოლიტიკურ სუბიექტებს თანამშრომლობისკენ უბიძგებდა, 2024 წლის გაზაფხულზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განმეორებით ინიცირებამ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები გამოიწვია და ისედაც დაძაბული პოლიტიკური გარემო უკიდურესად პოლარიზებული გახადა. საპროტესტო აქციებისა და მწვავე საერთაშორისო კრიტიკის მიუხედავად, მმართველმა პარტიამ კანონპროექტი სამი მოსმენით მიიღო. კანონპროექტის საწინააღმდეგო აქციების დაშლისას, სამართალდამცავთა მხრიდან საერთაშორისო სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის არაერთი უხეში დარღვევა გამოიკვეთა, რასაც მმართველი პოლიტიკური პარტიის მხრიდან პოლიტიკური ან სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია. ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტების რეაგირების გარეშე დატოვებამ პოლიციის ძალადობა წაახალისა. კანონის მიღებას წინ უსწრებდა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პოლიტიკოსებისა და საპროტესტო აქციების მონაწილეთა დაშინების მცდელობები, რასაც სპეციალური საგამომიებო სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია.<sup>2</sup>

პოლარიზაცია კიდევ უფრო გააღრმავა ხელისუფლების განცხადებამ, რომ „ქართული ოცნება“ ოპოზიციური პარტიების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მის ირგვლივ შექმნილი კოალიცია („სტრატეგია აღმაშენებელი“, „ევროპული საქართველო“), კოალიცია „ცვლილებებისთვის“ (ახალი, გირჩი, დროა), „ლელოს“ ირგვლივ გაერთიანებული კოალიცია

<sup>1</sup> bm.ge, პროპორციული არჩევნები საქართველოში, იხ. <https://bm.ge/news/proportsiuli-archevnebi-saqartveloshi>  
<sup>2</sup> radiotavisupleba.ge, 27.05.2024, „არჩევნები მოდის, ვის ხელშია ცესკო?“, იხ. <https://shorturl.at/byHl8>

„ძლიერი საქართველო“ და გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“) აკრძალვას გეგმავდა.<sup>3</sup>

2024 წლის ივნისში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, ხელისუფლებამ უკიდურესად შეავიწროვა არეალი, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებს და დამოუკიდებელ მედიას საქმიანობის გაგრძელება შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ამ ეტაპამდე თავს იკავებს იმ ორგანიზაციების მონიტორინგისგან,<sup>4</sup> რომლებმაც უარი განაცხადეს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციაზე, არასამთავრობო ორგანიზაციების შესავიწროებლად, ხელისუფლებამ ანტიკორუფციული ბიუროს გამოყენება სცადა. 2024 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ანტიკორუფციულმა ბიურომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, მისი დირექტორი, მოძრაობა „აირჩიე ევროპა“ და ორგანიზაციის დამფუძნებლები „გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად“ მიიჩნია და მათზე პოლიტიკური პარტიებისთვის დადგენილი რეგულაციები გაავრცელა. მოგვიანებით, ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა.<sup>5</sup>

წინასაარჩევნოდ პოლიტიკურ გარემოზე ზეგავლენა მოახდინა მმართველი პარტიის მიერ გენდერული კვოტირების შესახებ საკანონმდებლო ჩანაწერის გაუქმებამ. ამასთან, გაუქმდა სიაში ქალთა წარმომადგენლობისათვის დადგენილი 30%-იანი ფინანსური დანამატიც. 2024 წლის 1-ელ ივლისს ეუთო/ოდირმა გენდერული კვოტირების გაუქმება გენდერული თანასწორობის კუთხით მნიშვნელოვან უკუსვლად შეაფასა.<sup>6</sup>

## 2. საარჩევნო კანონმდებლობის მიმოხილვა და არსებული გამოწვევები

ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიას შორის მკაფიო გამიჯვნა აუცილებელია, რათა პარტია არ იყოს აღრეული სახელმწიფოსთან.<sup>7</sup> ამასთან, საარჩევნო საკითხებში ვენეციის კომისიის კარგი პრაქტიკის კოდექსი ადგენს, რომ

<sup>3</sup> netgazeti.ge, 23.08.2024, „კობახიძე აკონკრეტებს, რომელი პარტიების აკრძალვას გეგმავს „ქართული ოცნება““, იხ. <https://netgazeti.ge/news/738901/>

<sup>4</sup> 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

<sup>5</sup> transparency.ge, ანტიკორუფციულმა ბიურომ გააუქმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება, იხ. <https://transparency.ge/ge/post/antikorupciulma-biurom-gaaukma-saertashoriso-gamchvirvaloba-sakartvelos-cinaagmdeg-migebuli>

<sup>6</sup> civil.ge, „ეუთო/ოდირი: პარტიულ სიებში ქალთა კვოტების გაუქმება „არ შეესაბამება“ საქართველოს ვალდებულებებს“, სამოქალაქო საქართველო, 1 ივლისი, 2024, <https://civil.ge/ka/archives/615070>

<sup>7</sup> osce.org, DOCUMENT OF THE COPENHAGEN MEETING OF THE CONFERENCE ON THE HUMAN DIMENSION OF THE CSCE, პარაგრაფი 5.4., იხ. <https://www.osce.org/files/f/documents/9/c/14304.pdf>

პარტიებსა და კანდიდატებს შორის შესაძლებლობების თანასწორობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს.<sup>8</sup>

2022 წლის ივნისში ევროკავშირის საბჭომ საქართველოს მთავრობას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროპული კომისიის 12 პირობის დაკმაყოფილება მოსთხოვა. ერთ-ერთი პირობა საარჩევნო კანონმდებლობას ეხებოდა. საქართველოს მთავრობას საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება და ყველა იმ ხარვეზის აღმოფხვრა დაევალა, რომელიც ეუთო/ოდირმა და ევროპის საბჭომ/ვენეციის კომისიამ გამოავლინა.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველომ 12 პირობიდან ცხრა არ შეასრულა. შეუსრულებელ პრიორიტეტებს შორის იყო საარჩევნო რეფორმის საკითხი.<sup>9</sup> 2023 წლის ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ მოხსენებით განისაზღვრა 9 ძირითადი დათქმა, რომლის შესრულების პირობითაც საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების შესახებ რეკომენდაცია გაიცა. ერთ-ერთი პრიორიტეტი კვლავ საარჩევნო რეფორმის განხორციელებას ეხებოდა.

საერთო ჯამში:

- მმართველმა პარტიამ მიიღო ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, მათ შორის, ბიულეტენების ელექტრონული მთვლელი აპარატით დათვლის შესახებ.
- პარლამენტმა გაითვალისწინა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების ნაწილი. კერძოდ, ფრაგმენტული ცვლილებები შეეხო პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, საარჩევნო ადმინისტრაციას, საჩივრებს, ბიულეტენების გადათვლის წესს, მარკირებასა და არჩევნების დაკვირვებას.
- ევროკავშირის მოწოდების საწინააღმდეგოდ, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ სამი მოსმენით მიღებული ცვლილებებით, რომელიც ძალაში 2023 წლის 3 ივლისს შევიდა, ცესკო-ს თავმჯდომარეობის და დამოუკიდებელი წევრობის კანდიდატების შერჩევისა და პარლამენტისთვის წარდგენის პრეროგატივა პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარის ხელში გადავიდა, ხოლო ცესკო-ს თავმჯდომარის 5 წლის ვადით დამტკიცებისთვის 100 ხმის ნაცვლად (რასაც საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებდა) პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (76 ხმა) გახდა საკმარისი. მიღებული ცვლილებებით პრეზიდენტის როლი საკონკურსო კომისიის (რომელიც ცესკოს დამოუკიდებელი წევრობის კანდიდატებს არჩევს) შემადგენლობაში ერთი წარმომადგენლის ყოლით შემოიფარგლა.<sup>10</sup>
- 2024 წელს კი „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ კვლავ შესული ცვლილებით საქართველოს პრეზიდენტს დაემატა ფორმალური უფლებამოსილება. კერძოდ, თუ საქართველოს პარლამენტმა განმეორებითი კენჭისყრის შედეგად ცესკოს წევრი (რომელიმე წევრი) ვერ აირჩია, კენჭისყრიდან არაუგვიანეს 1 კვირისა საქართველოს

<sup>8</sup> venice.coe, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, საარჩევნო ნორმათა კოდექსი, იხ.

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2002\)023rev2-cor-geo](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2002)023rev2-cor-geo)

<sup>9</sup> commission.europa.eu, European Neighbourhood and Enlargement Negotiations, იხ.

[https://commission.europa.eu/about/departments-and-executive-agencies/european-neighbourhood-and-enlargement-negotiations\\_en](https://commission.europa.eu/about/departments-and-executive-agencies/european-neighbourhood-and-enlargement-negotiations_en)

<sup>10</sup> საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 03/07/2023, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5825872?publication=0#DOCUMENT:1>

პარლამენტის თავმჯდომარე ცესკოს წევრის (წევრების) დანიშვნის მიზნით საქართველოს პრეზიდენტს უგზავნის ცესკოს წევრობის კანდიდატის (კანდიდატების) შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა სიას და საკონკურსო დოკუმენტაციას. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია აღნიშნული სიისა და დოკუმენტაციის მიღებიდან 1 კვირაში ამ სიაში მყოფ პირთაგან 5 წლის ვადით დანიშნოს ცესკოს იმდენი ან იმაზე ნაკლები წევრი, ცესკოს რამდენი წევრიც დარჩა საქართველოს პარლამენტს ასარჩევი.<sup>11</sup>

- 2024 წლის მაისში პარლამენტმა კენჭი უყარა გენდერული კვოტირების წესის გაუქმებას, რომელიც ძალაში 2032 წლამდე უნდა ყოფილიყო.
- 2024 წლის 30 მაისს, საქართველოს პარლამენტმა 80 ხმით მიიღო ცვლილებები საარჩევნო კოდექსში,<sup>12</sup> რითაც შეიცვალა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი და გაუქმდა ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ შერჩეული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები შედიოდნენ.
- ამასთან, „საარჩევნო კოდექსს“ დამატა ნორმა, რომლის თანახმადაც, თუ ცესკოს სხდომაზე კენჭისყრის შედეგად ვერ იქნა მიღებული ცესკოს ის გადაწყვეტილება, რომლის მისაღებად საჭიროა ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა, ცესკოს ამ გადაწყვეტილებას იმავე სხდომაზე კენჭი ხელახლა ეყრება. ამ შემთხვევაში ცესკოს აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ცესკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. მმართველმა პარტიამ ცვლილება ანტი-ჩიხური მექანიზმის საჭიროებით ახსნა.<sup>13</sup>

მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება აკრძალულია, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მმართველი პარტიის მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენება მთავარ გამოწვევად დარჩა. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვას საქართველოს საარჩევნო კოდექსი ადგენს. ორგანული კანონის 48-ე მუხლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისას აკრძალულია:

- სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;
- სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;

<sup>11</sup> საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 25.03.2024, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6108497?publication=0#DOCUMENT:1>

<sup>12</sup> parliament.ge, საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/306570>

<sup>13</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 8.4<sup>1</sup>

- სახელმწიფო ხელისუფლების ან მუნიციპალიტეტის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება;
- საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება.

ასევე, საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. კანონი ასევე კრძალავს ამავე პერიოდში სოციალური გასაცემების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდას.

ამასთან, საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მიხედვით, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა: საარჩევნო კომისიის წევრების, მოსამართლეების, საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციების, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, მარეგულირებელი კომისიის წევრების და ძალოვან სტრუქტურაში დასაქმებული პირებისა. საარჩევნო კოდექსი ასევე არეგულირებს იმ პირთა წრეს, ვისაც წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება ნაწილობრივ ეზღუდებათ. აღნიშნულ პირებს მიეკუთვნებიან საჯარო მოსამსახურეები, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი ან საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები. მათ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა ეკრძალებათ სამუშაო დროს ან/და უფლებამოსილების განხორციელებისას. ამავე მუხლის მიხედვით, აკრძალულია წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში, სასამართლოებსა და სამხედრო ნაწილებში.

26 ოქტომბრის არჩევნების დღესთან დაკავშირებით ეუთო/ოდირის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ გამოკვეთა არაერთი ნაკლოვანებები, მათ შორის, საარჩევნო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები.<sup>14</sup>

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საარჩევნო კოდექსი 20-ზე მეტჯერ შეიცვალა. ეუთო/ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიშის მიხედვით, 2022 და 2023 წელს საჯარო დისკუსიების შედეგად, რეკომენდაციების ნაწილი იქნა გათვალისწინებული, თუმცა, არჩევნების მომწესრიგებელი კანონმდებლობის ყოვლისმომცველი რეფორმა ვერ განხორციელდა. 2024 წლის ცვლილებები კი, რამაც რეალურად გააუარესა საარჩევნო კანონმდებლობა, საქართველოს პარლამენტმა საჯარო კონსულტაციებისა და კონსენსუსის გარეშე მიიღო. დოკუმენტის მიხედვით, კვლავ შეუსრულებელია „ის რეკომენდაციები, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის

<sup>14</sup> osce.org, INTERNATIONAL ELECTION OBSERVATION MISSION Georgia – Parliamentary Elections, 26 October 2024 ob. <https://www.osce.org/files/f/documents/3/0/579346.pdf>

მიუკერძოებლობას, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებას, საარჩევნო კამპანიის წარმართვასა და დაფინანსებას, საარჩევნო კამპანიის მედიასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და საარჩევნო დავების გადაწყვეტის ჩარჩოს გაძლიერებას შეეხება“.<sup>15</sup>

### 3. ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულ და სოციალურად დაუცველ პირთა რიცხვის რეკორდული ზრდა

#### 3.1. დასაქმება მერიებში, საკრებულოების აპარატებსა და მუნიციპალური ორგანიზაციებში

წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის პროცესში, საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალური ორგანოდან გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია 2023-2024 წლებში მუნიციპალიტეტებში არსებული შტატებისა და შესაბამისი შრომის ანაზღაურების შესახებ. ოცმა მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ოცდაათმა მერიამ აღნიშნული საჯარო ინფორმაცია არ მოგვაწოდა. ამასთან, თექვსმეტმა საკრებულომ და შვიდმა მერიამ არასრულად ან/და ხარვეზებით მოგვაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია, რამაც გაართულა ქვეყნის მასშტაბით არსებული მდგომარეობის სრულყოფილი ანალიზი.

მიღებული პასუხების საფუძველზე, გავანალიზეთ წინასაარჩევნო პერიოდში (2024 წლის ოქტომბრამდე) მუნიციპალიტეტების მერიების, საკრებულოების აპარატების და მუნიციპალური ორგანიზაციების სამტატო ნუსხებსა და შრომის ანაზღაურების ფონდებში განხორციელებული ცვლილებები, რაც ასახულია წინამდებარე თავში.

#### საკრებულოების აპარატები

ანალიზი ეყრდნობა 26 მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მიღებულ მონაცემებს, რომლებიც სრულად მივიღეთ. 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს თითქმის ყველა საკრებულოში საგრძნობად გაიზარდა სამტატო ნუსხა ან/და სახელფასო ფონდი. არსებული მონაცემებით, 2024 წელს ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების რაოდენობის ზრდამ საკრებულოების აპარატებში ჯამურად 7% შეადგინა. საკრებულოების აპარატებში დასაქმებულთა და შესაბამისად, ხელფასების საერთო მატების შედეგად, საკრებულოების აპარატების მთლიანი სახელფასო ფონდი 12%-ით გაიზარდა.

მთლიანობაში, თბილისის გარდა, მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა დაახლოებით 16%-ით გაზარდეს საკუთარი აპარატების ანაზღაურების ფონდი. თბილისის საკრებულომ კი, მართალია, ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხვი 5%-ით შეამცირა, თუმცა აპარატის მთლიანი სახელფასო ფონდი თითქმის 10%-ით გაზარდა.

<sup>15</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია საქართველო საპარლამენტო არჩევნები, 2024 წლის 26 ოქტომბერი, შუალედური ანგარიში 11 სექტემბერი – 9 ოქტომბერი, 2024, გვ. 1, იხ. <https://www.osce.org/files/f/documents/8/8/578194.pdf>

## მუნიციპალიტეტის მერიები

2024 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოს მერიების საშტატო ნუსხებში გაუქმდა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, რამაც მერიების თანამშრომელთა რაოდენობა შეამცირა.<sup>16</sup> ძირითადად ამ ფაქტორით აიხსნება, რომ მიღებული მონაცემებით, მერიების საშტატო ერთეულების რაოდენობა დაახლოებით ორი პროცენტით შემცირდა, ხოლო ხელშეკრულებით (შტატგარეშედ) დასაქმებულთა რაოდენობა უმნიშვნელოდ შეიცვალა. მიუხედავად ამისა, **იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებმაც საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდეს, მთლიანი სახელფასო ფონდი 2024 წელს 10%-ით არის გაზრდილი.**

აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან, მერის წარმომადგენლები და შესაბამისი სპეციალისტები/ასისტენტები საშტატო მოხელეობიდან ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებზე მასობრივად გადაიყვანეს. ამ ცვლილებამ ისინი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცვლილების მიმართ მოწყვლადი გახადა. 2024 წლის ბოლოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებით, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებზე ასევე გადაჰყავთ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები. ეს საგანგაშო ნაბიჯი თანამშრომელთა მოწყვლადობის ზრდის გარდა, მათი კვალიფიკაციის დონის და მუნიციპალური მომსახურების ხარისხის გაუარესებას გამოიწვევს.

## მუნიციპალური ა(ა)იპ-ები

მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შტატებისა და ხელფასების შესახებ საჯარო ინფორმაცია საქართველოს მხოლოდ 20 მუნიციპალიტეტის მერიამ მოგვაწოდა მეტ-ნაკლები სისრულით. მათ შორის, ოთხის მონაცემების შედარებითი ანალიზი ვერ განხორციელდა მოწოდებული ინფორმაციის ხარვეზების გამო. საბოლოოდ, ანალიზი დაეყრდნო თექვსმეტი მუნიციპალიტეტის 136 ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა და მათი ხელფასების შესახებ ინფორმაციას.

ა(ა)იპ-ების რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება გვაჩვენებს, რომ მიუხედავად ფუნქციების არსებითად უცვლელობისა, 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, მთლიანი სახელფასო ფონდი დაახლოებით 17%-ით, ხოლო საშუალო ადგილების რაოდენობა - 3.5%-ით გაიზარდა. ხელფასების აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება უშუალოდ მერიებისა და საკრებულოების აპარატებში დაფიქსირებულ ხელფასების ზრდას.

ერთი მუნიციპალური ა(ა)იპ 2023 წელს საშუალოდ 121, ხოლო 2024 წელს - 126 პირს ასაქმებდა. ასეთ ორგანიზაციებში ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებით, საშუალო ხელფასი გასულ წელს 678 ლარს უტოლდებოდა, ხოლო 2024 წელს 13%-ით მეტი - 765 ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტების და რეგიონების მიხედვით ა(ა)იპ-ებში სახელფასო ფონდის და საშუალო ადგილების რაოდენობის ზრდა არაერთგვაროვანი იყო, თუმცა ორივე მაჩვენებლის მატება ფიქსირდება თითქმის ყველგან. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა ხშირად 10-ჯერ აღემატება შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიების შტატებს, თუმცა თანამშრომელთა საშუალო ხელფასით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ უკანასკნელს.

<sup>16</sup> სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის ფუნქცია არ გაუქმებულა, ის სხვა სახელმწიფო უწყების ხელში გადავიდა, თავისი კადრებითა და უზრუნველყოფით.

2024 წელს კვლავ ხშირი იყო ა(ა)იპ-ების სრული სამტატო განაკვეთისთვის არაადეკვატურად დაბალი (თვეში 500 ლარამდე) ხელფასის დანიშვნის შემთხვევები.

კვლევის პროცესში ასევე მოხდა რეგიონულ ა(ა)იპ-ებში დასაქმების 2015 და 2023 წლების მონაცემების შედარება. არსებული მონაცემებით, **რვა წელიწადში, ასეთ მუნიციპალურ ორგანიზაციებში სახელფასო ფონდის მოცულობა დაახლოებით გასამმაგდა, ხოლო შტატების რიცხოვნობა დაახლოებით 35 %-ით გაიზარდა.** აღნიშნულ პერიოდში, ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებული საშუალო შრომის ანაზღაურება 2.2-ჯერ გაიზარდა.

მთლიანობაში, სახეზეა რეგიონულ ა(ა)იპ-ებში დასაქმების ზრდის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტენდენციის გაგრძელება, რაც საბიუჯეტო დაფინანსებაზე მოსახლეობის მზარდ დამოკიდებულებას ნიშნავს. ამასთან, ასეთი ორგანიზაციები ხასიათდება ნაკლები გამჭვირვალობით და თანამშრომელთა დაუცველობით. ეს კი ნოციერ ნიადაგს ქმნის მოქალაქეთა ნეპოტიზმის და პარტიული ლოიალობის ნიშნით დასაქმებისათვის.

### 3.2. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

2024 წელს საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა საშუალოდ 671,337 პირს შეადგენდა. ამავე წლის **დეკემბრის მდგომარეობით, უმწეოთა რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს (690,496) მიაღწია, რაც საქართველოს მოსახლეობის 18.6 პროცენტს შეადგენს.**

რაც შეეხება წინასაარჩევნო პერიოდს, საქართველოს მასშტაბით შემწეობის მიმღებთა რაოდენობა **2024 წლის სექტემბერში 7%-ით გაიზარდა, ოქტომბერში კი - 9%-ით (წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით).** შესაბამისად, **2023 წლის ოქტომბერთან შედარებით საარსებო შემწეობა წინასაარჩევნოდ 57 ათასი ადამიანით მეტს მიეცა.** 2024 წლის იანვართან შედარებით, ოქტომბერში უმწეოთა რიცხვი 6%-ით იყო გაზრდილი.

2023 წლის ოქტომბერთან შედარებით, დახმარების მიმღებთა რაოდენობის არაბუნებრივი მატება აღინიშნა მარნეულის (+28%) და ქუთაისის (+22%) მუნიციპალიტეტებში. ბენეფიციართა რიცხვის მკვეთრი (10-20%-ით) წლიური ზრდა დაფიქსირდა: ბოლნისის, გარდაბნის, ფოთის, კასპის, სამტრედიის, ახალქალაქის, ახალციხის, თბილისის (12%-ით), რუსთავის, მცხეთის, ოზურგეთის და გორის მუნიციპალიტეტებში. ბენეფიციარების რაოდენობის ასევე მაღალი (5-10 %-ით) ზრდა აღინიშნა 28 მუნიციპალიტეტში. მათ შორის 8%-ზე მეტი ზრდა დაფიქსირდა თეთრიწყაროს, საგარეჯოს, აბაშის, ხაშურის, ტყიბულის, ბათუმის, ყაზბეგის და ახალციხის მუნიციპალიტეტებში. დანარჩენ ოც მუნიციპალიტეტში შემწეობის მიმღებთა რაოდენობა შედარებით მცირედით (1-5 %-ით), მაგრამ გაიზარდა.

2024 წლის ოქტომბერში შემწეობის მიმღებთა რიცხვის წლიური უმნიშვნელო (<1%) კლება მხოლოდ სამ მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა. სექტემბერში ასეთი მუნიციპალიტეტი მხოლოდ ოთხი იყო.

რეგიონების მიხედვით, **2024 წლის ოქტომბერში ბენეფიციართა რაოდენობის წლიური ზრდის მასშტაბით გამოირჩა ქვემო ქართლი (16%) და ქალაქი თბილისი (12%).** ამ ორმა მსხვილმა




ერთეულმა მთავარი წვლილი შეიტანა ქვეყნის მასშტაბით დახმარების მიმღებთა საერთო რიცხვის ზრდაში. დასახმარებელთა რაოდენობის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ასევე იმერეთის რეგიონმა, სადაც 2023 წელთან შედარებით 8 %-იანი ზრდა დაფიქსირდა.

2023 წელთან შედარებით, 2024 წლის ოქტომბერში უმწეოთა რიცხვი ყველაზე მეტად ქვემო ქართლში გაიზარდა. მაღალი ზრდით ასევე გამოირჩა შიდა ქართლი (10%), მცხეთა-მთიანეთი (8%), გურია (8%), იმერეთი (8%), კახეთი (6%) და სამცხე-ჯავახეთი (6%). მსგავსი სურათი იყო სექტემბრის თვეშიც. თბილისში კი ბენეფიციართა რიცხვის უპრეცედენტო მატება (12%) ოქტომბერში დაფიქსირდა. ანუ, მხოლოდ თბილისში დახმარება 15,700-ით მეტ პირს დაენიშნა, ვიდრე 2023 წელს ჰქონდა.

**იზრდება საარსებო შემწეობის მიმღებთა არამართო აბსოლუტური რაოდენობა, არამედ მთლიან მოსახლეობაში მათი წილიც.** ცხადია, ეს ფაქტი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენციაზე არ მეტყველებს.

საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი მთლიან მოსახლეობაში (%)




წყარო: საქსტატი და სოციალური მომსახურების სააგენტო

დიაგრამაზე თვალნათლივ ჩანს, რომ მოსახლეობაში საარსებო დახმარების ბენეფიციარების საშუალო წილი 2018 წლიდან განუხრელად იზრდება. **2024 წლის დეკემბრის მონაცემებით კი, საარსებო შემწეობას ქვეყნის თითქმის ყოველი მეხუთე მაცხოვრებელი იღებს.**

შემწეობის მიმღებთა რაოდენობის ზრდა უცნაურად გამოიყურება საქსტატის მიერ ამ პერიოდისთვის დეკლარირებული, 10-12 %-იანი რეალური ეკონომიკური ზრდის ფონზე. ნიშანდობლივია, რომ ბოლო წლებში იზრდება საარსებო შემწეობის მიღების მსურველთა რაოდენობაც. როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, **2024 წლის მდგომარეობით, საარსებო შემწეობის დანიშვნას მოსახლეობის მესამედი ითხოვს,** რისთვისაც ისინი სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირდებიან. მათმა

აბსოლუტურმა რაოდენობამ 2024 წლის ბოლოს 1,272,572 პირი შეადგინა, რაც საქართველოს მოსახლეობის 33,3%-ს შეადგენს.

ბაზაში რეგისტრირებულთა წილი მთლიან მოსახლეობაში (%)



წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

## 4. წინასაარჩევნოდ ინიცირებული პროექტები/პროგრამები და სხვა სახის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა ისეთი საკითხები, რომლებიც ფორმალურად კანონმდებლობის დარღვევას არ წარმოადგენს, თუმცა ხელს უშლის თავისუფალი და თანასწორი საარჩევნო გარემოს შექმნას და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვის შესაბამისად, არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა არ მომხდარა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელისუფლებამ უშუალოდ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდს დაამთხვია.

### 4.1. საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებსაც წინასაარჩევნო გარემოზე გავლენის მოხდენა შეეძლო

„ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანია არაფორმალურად ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო, როდესაც „ლგბტ პროპაგანდის“ საწინააღმდეგო კანონპროექტები დააინიცირა. კანონპროექტი მმართველმა პარტიამ მეათე მოწვევის პარლამენტის სამეოთხედგომო სესიის ბოლო პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით, 84 ხმით მიიღო. „ოჯახური ღირებულებების“ დასაცავად მიღებული ჰომოფობიური კანონპროექტების პაკეტი „ოჯახური ღირებულებებისა

და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“<sup>17</sup> რეალურად, ლგბტ ადამიანების კონსტიტუციურ უფლებებს ზღუდავს. იმავე სხდომაზე პარლამენტმა „ქართული ოცნების“ ინიცირებული „ამნისტიის შესახებ“<sup>18</sup> კანონპროექტი ხმების იმავე რაოდენობით მიიღო.

### **„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი**

„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონპროექტთა პაკეტი დამატებით 18 მოქმედ კანონში ცვლილებას ითვალისწინებს - მათ შორის, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონებში და სხვა.

„ქართული ოცნებისთვის“ ოჯახური ღირებულებების „დაცვის საკითხი“ წინასაარჩევნო კამპანიის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს, მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვების აუცილებლობას კონსტიტუციური კანონპროექტის „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ მიღების აუცილებლობით ასაბუთებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიღებული კანონი ლგბტ თემის სიძულვილის, ჩავვრის, დისკრიმინაციის, სტიგმატიზაციისა და ცენზურის გაძლიერების თვალსაჩინო მაგალითია, მმართველი პარტიის განცხადებით, კანონმდებლობა „ქართული ღირსებისა“ და ტრადიციების შესანარჩუნებლად/დასაცავად მიიღეს.

### **„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი**

2024 წლის 17 სექტემბერს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონი „ამნისტიის შესახებ“. წინასაარჩევნოდ, ამნისტიის შედეგად, დაახლოებით 1,000 მსჯავრდებული დაუყოვნებლივ გათავისუფლდა, ხოლო 4,800-მდე ადამიანს სასჯელი სხვა და სხვა ვადით შეუმცირდა (1/2-ით, 1/4-ით და 1/6-ით). არანაკლებ ერთი წლით შეუმცირდა ვადა 7,000-მდე პრობაციონერს. ამნისტიის კანონი სისხლის სამართლის კოდექსის 290-ზე მეტი მუხლის სასჯელისაგან სრულიად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას ითვალისწინებდა და 2024 წლის 1-ელ ივლისამდე ჩადენილ დანაშაულებზე გავრცელდა.

აღნიშნული კანონის წინასაარჩევნო პერიოდში მიღებით, „ქართული ოცნება“ ამომრჩევლის არც თუ ისე მცირე ჯგუფის კეთილგანწყობის მოპოვებას შეეცადა.

### **„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესული ცვლილებები**

წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა დედაქალაქის მერის კახა კალაძის ინიციატივა, რომელიც მოგვიანებით „ქართული ოცნების“ დეკლარაციების ინიცირებით „ადმინისტრაციულ

<sup>17</sup> parliament.ge, საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/363910>

<sup>18</sup> parliament.ge, საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/366895>

სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის საფუძველი გახდა. ცვლილების მიხედვით, **საავტობუსო ზოლში მოტოციკლეტებისა და მოპედების გადაადგილება დასაშვებია გახდა.**<sup>19</sup> თუ ცვლილებებამდე, მოტოციკლეტებისა და მოპედების მძღოლები საავტობუსო ზოლში გადაადგილების გამო ჯარიმდებოდნენ, ცვლილებებით, აკრძალვა მოიხსნა.

### **უპირატესობა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ რეგისტრაციისთვის**

პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ დარეგისტრირდნენ, საგრანტო პროგრამა შეიქმნება, რომელიც დაფინანსდება „ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად“ განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.<sup>20</sup> აღნიშნული ინიციატივა წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის კეთილგანწყობის მოპოვების მცდელობად შეიძლება შეფასდეს.

მოქმედი კანონმდებლობა არჩევნებამდე 60 დღით ადრე კრძალავს ახალი პროგრამებისა და პროექტების ინიცირებას. საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ ამომრჩევლის კეთილგანწყობის მოპოვების მიზანს ემსახურება, რეალურად იმავე რისკის მატარებელია, რასაც აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესი აზღვევს.

## **4.2. პროგრამები/პროექტები და ინიციატივები, რომლებმაც, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა წინასაარჩევნო გარემოზე**

წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების ოფიციალური კამპანიის მოახლოებასთან ერთად, როგორც წესი, ხშირდება მასშტაბური სახელმწიფო პროგრამების/პროექტების ინიცირება. კონკრეტული პროექტების/პროგრამების განხორციელება, უმეტესწილად, უშუალოდ წინასაარჩევნო პერიოდში იწყება. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტული პროექტის/პროგრამის შედეგი სწორედ ოფიციალურ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში დგება. ამ თვალსაზრისით, არც 2024 წლის 26 ოქტომბრის წინასაარჩევნო გარემო იყო გამონაკლისი.

2024 წლის აგვისტოდან გახშირდა სახელმწიფო პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, რაც ადმინისტრაციული რესურსის წინასაარჩევნო მიზნით გამოყენების ნიშნებს შეიცავდა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საარჩევნო გარემოზე და უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენა სხვა საარჩევნო სუბიექტები. წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების და სხვადასხვა ტიპის საბიუჯეტო პროგრამებისა და ინიციატივების წამოწყება/განხორციელება,

<sup>19</sup> parliament.ge, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/366920>

<sup>20</sup> radiotavisupleba.ge, „კობახიძის თქმით, არასამთავრობოებისთვის სახელმწიფო გრანტს გამოყოფს“, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33112760.html>

განსაკუთრებით, ადგილობრივ დონეზე, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, ამომრჩევლებისთვის სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ფინანსურ სარგებელს ითვალისწინებდა.

#### 4.2.1. პროგრამები

2024 წლის 26 ოქტომბრის წინასაარჩევნო პერიოდში, მუნიციპალიტეტების დონეზე განსაკუთრებით გახშირდა სხვადასხვა პროგრამების გამოცხადება, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო ახალგაზრდებზე. ამასთან, პროგრამების ნაწილი ფინანსური სარგებლის მიღებას ითვალისწინებდა, რაც, თავის მხრივ, ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს შეიცავდა. მაგალითად:

- 2024 წლის 23 აგვისტოს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა გამოცხადდა, რაც გულისხმობდა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე საბაკალავრო/სამაგისტრო სტუდენტებისთვის **სწავლის შემოდგომის სემესტრის თანხის თანადაფინანსებას - 500 ლარის ოდენობით, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის სწავლის სემესტრული თანხის თანადაფინანსებას 700 ლარის ოდენობით.**<sup>21</sup>
- 2024 წლის 3 სექტემბრიდან 5 სექტემბრის ჩათვლით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს ინიციატივითა და მერიის მხარდაჭერით, ბანაკი „გახდი თავადასავლების მაძიებელი“ მოეწყო, რომელშიც 20-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.<sup>22</sup>
- 2024 წლის 4 სექტემბერს, რუსთავის მერიის პროგრამის - „პროფესიული სწავლება დასაქმების ხელშეწყობისთვის“ ფარგლებში გამოცხადდა მიღება პროფესიული გადამზადების მოკლევადიან პროგრამაზე „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“. მერიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელები სწავლის განმავლობაში რუსთავის მერიის სტიპენდიას მიიღებდნენ.<sup>23</sup> პროგრამა 2024 წლის ნოემბრის ბოლოს უნდა დამთავრებულიყო.
- 2024 წლის 4 სექტემბრის ინფორმაციით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში ორმა კურსდამთავრებულმა **ანაზღაურებადი სტაჟირება** გაიარა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, პროექტში ქვეყნის მასშტაბით 3000 - მდე ახალგაზრდა იყო ჩართული.<sup>24</sup> სტაჟირება ოთხთვიანია. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში ვერ დაგვიდასტურეს, გაგრძელდებოდა თუ არა სახელმწიფო პროგრამა 2025 წელს.
- 2024 წლის 4 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროექტების **ფინანსური მხარდაჭერით**, დევნილი სოციალურად დაუცველი, ძვალ-სახსროვანი დაავადებით ხშირად მოავადე **ბავშვები დედებთან ერთად, დაბა ურეკში, გამაჯანსაღებელ-სარეაბილიტაციო ბანაკში გაემგზავრნენ.** ბავშვები ურეკში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა მამუკა

<sup>21</sup> გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, იხ. <https://www.facebook.com/share/p/fui55niNWYFNmV6Z/>

<sup>22</sup> სიღნაღის მუნიციპალიტეტის ფეისბუკგვერდი, იხ.

[https://www.facebook.com/CityHallOfSighnaghiMunicipality/posts/899440252217630?ref=embed\\_post](https://www.facebook.com/CityHallOfSighnaghiMunicipality/posts/899440252217630?ref=embed_post)

<sup>23</sup> რუსთავის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=504843118835687&set=a.183638620956140>

<sup>24</sup> ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, იხ. <https://shorturl.at/PGYZx>

წოწერია, მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმა, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის სამართალშემოქმედებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა და ამავე სამინისტროს აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსმა გააცილეს.<sup>25</sup>

- 2024 წლის 5 სექტემბერს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდა პროგრამა, რომლის საფუძველზეც, წარმატებული სტუდენტების დაჯილდოებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მიღება დაიწყო. მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, **ერთჯერადი** პროგრამის ბენეფიციარებს - აბაშის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, 2023-2024 სასწავლო წლის სსიპ აბაშის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის „ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან“ **ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარი უნდა მიეღოთ.**<sup>26</sup>
- 2024 წლის 6 სექტემბერს სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ სოციალური პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება დაიწყო.<sup>27</sup> სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მიზნით, სოციალური პროგრამის ფარგლებში განაცხადების წარდგენა ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა შეძლეს. პროგრამის დაფინანსებისთვის, საქართველოს მთავრობის **2024 წლის 31 ივლისის #242 დადგენილებით, 2,632,500 (ორი მილიონ ექვსას ოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარი** გამოიყო.
- 2024 წლის სექტემბრიდან, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, სახელმწიფო დაწესებულებებში **4 თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა** დაიწყო. პროგრამის ფარგლებში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა სტაჟირება გაიარეს.<sup>28</sup> ქუთაისის მერიაში ვერ დაგვიდასტურეს, გაგრძელდებოდა თუ არა სახელმწიფო პროგრამა 2025 წელს.
- 2024 წლის 20 სექტემბერს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში გაავრცელა ინფორმაცია, რომ ყველა ფოთელ სტუდენტს, რომელიც ფოთის საზღვაო აკადემიაში ჩააბარებდა, სწავლის საფასურის 50% პროცენტს დაუფინანსებდა, ხოლო გაცვლით პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდებს, საზღვარგარეთ სწავლა სრულად აუნაზღაურდებოდათ. ფოთის საზღვაო აკადემიაში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ორგანიზებით გამართულ ღონისძიებას მმართველი პარტიის საარჩევნო სუბიექტი გიორგი ხახუბია ესწრებოდა.<sup>29</sup> ფოთის მერიაში ვერ დაგვიდასტურეს, გააგრძელდებოდა თუ არა მუნიციპალიტეტი სტუდენტების თანადაფინანსებას 2025 წელს.

<sup>25</sup> ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, იხ. <https://www.facebook.com/share/p/mXXsjgFHDAAsLTNSX/>

<sup>26</sup> აბაშის მუნიციპალიტეტის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=898068722376061&set=a.453640346818903>

<sup>27</sup> ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, იხ. <https://rb.gy/7j704f>

<sup>28</sup> ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, იხ. <https://rb.gy/iavrly>

<sup>29</sup> ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://shorturl.at/FBf26>

## 4.2.2. ინიციატივები

არჩევნების ოფიციალურად დანიშვნამდე 5 დღით ადრე, საქართველოს მუნიციპალიტეტებს „ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით“, 1,082,961 ლარი გადაეცა. კერძოდ:

- მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N1179 განკარგულებით, 2022 წელს გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 57,692 ლარი სიღნაღის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, გადაეცა.<sup>30</sup>
- მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N1180 განკარგულებით, ვანის მუნიციპალიტეტს 2022 და 2023 წლებში გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი, ჯამში - 60,895 ლარი გადაეცა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით.<sup>31</sup>
- მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N1178 განკარგულებით, თიანეთის მუნიციპალიტეტს, მთავრობის 2020, 2021 და 2022 წლების განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი, ჯამში - 526,899 ლარი გადაეცა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით.<sup>32</sup>
- მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N1177 განკარგულებით, რუსთავის მუნიციპალიტეტს 2022 წლებში გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი, ჯამში - 399,685 ლარი გადაეცა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით.<sup>33</sup>
- მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N1176 განკარგულებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს 2018, 2019, 2020 და 2022 წლების განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი, ჯამში - 23 135 ლარი გადაეცა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით.<sup>34</sup>
- მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N1175 განკარგულებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს 2022 წელს გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი, ჯამში - 14,655 ლარი გადაეცა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით.<sup>35</sup>

უშუალოდ წინასაარჩევნო პერიოდში, საქართველოს მთავრობამ საქართველოს საპატრიარქოს უსასყიდლოდ/სიძმობლურ ფასად გადასცა დიდი ოდენობით უძრავი ქონება. კერძოდ:

- 2024 წლის 13 სექტემბრის N1316 განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კველიანში მდებარე 5,670 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრებაში **1 ლარად გადასცა**.<sup>36</sup>

<sup>30</sup> მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N1179 განკარგულება, იხ. [https://www.gov.ge/files/602\\_89382\\_793913\\_1179.pdf](https://www.gov.ge/files/602_89382_793913_1179.pdf)

<sup>31</sup> მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N1180 განკარგულება, იხ. [https://www.gov.ge/files/602\\_89383\\_694786\\_1180.pdf](https://www.gov.ge/files/602_89383_694786_1180.pdf)

<sup>32</sup> მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N 1178 განკარგულება, იხ. [https://www.gov.ge/files/602\\_89381\\_437846\\_1178.pdf](https://www.gov.ge/files/602_89381_437846_1178.pdf)

<sup>33</sup> მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N 1177 განკარგულება, იხ. [https://www.gov.ge/files/602\\_89380\\_820296\\_1177.pdf](https://www.gov.ge/files/602_89380_820296_1177.pdf)

<sup>34</sup> მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N 1176 განკარგულება, იხ. [https://www.gov.ge/files/602\\_89379\\_392516\\_1176.pdf](https://www.gov.ge/files/602_89379_392516_1176.pdf)

<sup>35</sup> მთავრობის 2024 წლის 22 აგვისტოს N 1175 განკარგულება, იხ. [https://www.gov.ge/files/602\\_89378\\_584257\\_1175.pdf](https://www.gov.ge/files/602_89378_584257_1175.pdf)

<sup>36</sup> საქართველოს მთავრობის 2024 წლის 13 სექტემბრის N 1319 განკარგულება, იხ. [https://www.gov.ge/files/602\\_89616\\_880497\\_1316.pdf](https://www.gov.ge/files/602_89616_880497_1316.pdf)

- 2024 წლის 13 სექტემბრის N1319 განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ თბილისში, ლეო და ნოდარ გაბუნიაძის ქ. N 41 ა-ში მდებარე 1004 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობები საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში **1 ლარად გადასცა**.<sup>37</sup>
- 2024 წლის 13 სექტემბრის N1320 განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყელქვეულში მდებარე 215389 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი **უსასყიდლო** უზუფრუქტის უფლებით, **99 წლის ვადით გადასცა**.<sup>38</sup>

გარდა ამისა:

- 2024 წლის ივლისში თბილისის საკრებულოს სხდომაზე განიხილეს და მხარი დაუჭირეს დედაქალაქის 2024 წლის ბიუჯეტის 48 მილიონი 456 ათასი ლარით გაზრდას. საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, გაზრდილი ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტებზე გადანაწილდებოდა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდებოდა.<sup>39</sup>
- 2024 წლის აგვისტოში ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, **1,056 ბენეფიციარს 248 983 ლარის დახმარება გაეწია**.<sup>40</sup>
- 2024 წლის 29 აგვისტოს, მმართველი პარტიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბათუმისა და ხელვაჩაურის ავტოპარკს **100 ახალი მიკროავტობუსი დაემატა**.<sup>41</sup>
- 2024 წლის 12 სექტემბერს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, თვითმმართველობის სახელით, სათნოების სახლის სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს საჩუქრად სასკოლო ინვენტარი გადასცა.<sup>42</sup>
- 2024 წლის 16 სექტემბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მთავრობა სამხედრო მოსამსახურეებისთვის **43 ახალი კორპუსის აშენებას გეგმავს, სადაც, პირველ ეტაპზე, ბინა 1,200 სამხედრო მოსამსახურეს გადაეცემა**.<sup>43</sup>
- 2024 წლის 27 სექტემბრის ინფორმაციით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებს **500-500 ლარი გადასცა**.<sup>44</sup>

<sup>37</sup> საქართველოს მთავრობის 2024 წლის 13 სექტემბრის N 1319 განკარგულება, იხ.

[https://www.gov.ge/files/602\\_89619\\_523961\\_1319.pdf](https://www.gov.ge/files/602_89619_523961_1319.pdf)

<sup>38</sup> საქართველოს მთავრობის 2024 წლის 13 სექტემბრის N 1320 განკარგულება, იხ.

[https://www.gov.ge/files/602\\_89620\\_461585\\_1320.pdf](https://www.gov.ge/files/602_89620_461585_1320.pdf)

<sup>39</sup> tbsakrebulo.gov.ge, დედაქალაქის 2024 წლის ბიუჯეტი 48 მილიონი ლარით გაიზარდა, იხ. <https://shorturl.at/jQbel>

<sup>40</sup> ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფეისბუკგვერდი, იხ.

[https://www.facebook.com/permalink.php?story\\_fbid=pfbid02CYtHDhX7Vfa2dSU5A7c7WnpTvXTRvMvrSVHpTEj7ujewZ\\_F7PqJ7vx2qUvV2uKfEbl&id=100069146921708](https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02CYtHDhX7Vfa2dSU5A7c7WnpTvXTRvMvrSVHpTEj7ujewZ_F7PqJ7vx2qUvV2uKfEbl&id=100069146921708)

<sup>41</sup> „ქართული ოცნების“ ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=1076735630483901&set=a.488868732603930>

<sup>42</sup> დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, იხ. <https://www.facebook.com/share/p/EkgPJ5aCQ8AqZApa/>

<sup>43</sup> ტაბულა, 16 სექტემბერი, 2024, „მთავრობა 1 200 სამხედრო მოსამსახურისთვის 43 კორპუსის აშენებას გეგმავს - კობახიძე“, იხ. <https://tabula.ge/ge/news/723010-mtavroba-1-200-samkhedro-mosamsakhuristvis-43>

<sup>44</sup> ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://shorturl.at/gXLFc>



- 2024 წლის 20 ოქტომბერს, ლანჩხუთის მერმა განათლების მინისტრთან ერთად, წარჩინებული სტუდენტები ძვირადღირებული საჩუქრებით - **ლენოვოს ფირმის კომპიუტერული ტექნიკით** დააჯილდოვა.<sup>45</sup>
- 2024 წლის 24 ოქტომბერს ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, **დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მოსახლეობას ბინების გასადებები გადასცა.**<sup>46</sup>

### 4.2.3. ინფრასტრუქტურული პროექტები

წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად დაწყებიდან, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდა. მაგალითად:

- 2024 წლის 2 სექტემბერს რუსთავში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მიზნით მიმდინარე პროექტის მორიგი ეტაპი დასრულდა.<sup>47</sup>
- 2024 წლის 3 სექტემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გომის მთამდე მისასვლელი 21 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია დასრულდა. ამასთან, გომის მთისკენ მიმავალი სრული გზა 33 კმ-იანია, თუმცა მმართველმა პარტიამ გზის ნაწილის რეაბილიტაციის პრეზენტაცია წინასაარჩევნო პერიოდში გამართა.<sup>48</sup>
- 2024 წლის 3 სექტემბერს, დაბა ურეკში 450 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობა დასრულდა.<sup>49</sup>
- 2024 წლის 3 სექტემბერს გორში, დავით გურამიშვილის ქუჩაზე ბულვარი გაიხსნა.<sup>50</sup>
- 2024 წლის 5 სექტემბრის ინფორმაციით, სოფელ წილკნის და წეროვანის დამაკავშირებელი 7 კილომეტრამდე გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები დასრულდა.<sup>51</sup>
- 2024 წლის 9 სექტემბერს მიხეილ თამარაშვილის გამზირისა და ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის კვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.<sup>52</sup>
- 2024 წლის 9 სექტემბერს ტყიბულში სოფელ ხრესილში 350 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა.<sup>53</sup>
- 2024 წლის 10 სექტემბერს დაბა ადიგენში ახლად რეაბილიტირებული სპორტული და საცეკვაო დარბაზი გაიხსნა.<sup>54</sup>

<sup>45</sup> ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

[https://www.facebook.com/photo/?fbid=559817329767923&set=pcb.559818086434514&locale=ka\\_GE](https://www.facebook.com/photo/?fbid=559817329767923&set=pcb.559818086434514&locale=ka_GE)

<sup>46</sup> თბილისის საკრებულოს ფეისბუკგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/1AhxPKG98U>

<sup>47</sup> რუსთავის მერიის ფეისბუკგვერდი იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=503521825634483&set=pcb.503526485634017>

<sup>48</sup> 1tv.ge, „გომისმთამდე მისასვლელი 21 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია დასრულდა“, იხ. <https://1tv.ge/news/irakli-garseladze-gomismtamde-misasvleli-21-km-iani-gzis-reabilitacia-dasrulda/>

<sup>49</sup> news.ge, დაბა ურეკში 450 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლა აშენდა, იხ. <https://shorturl.at/NCPOK>

<sup>50</sup> გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/fztaw8p8Mn113Pjd/>

<sup>51</sup> მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდი, იხ. <http://mtskheta.gov.ge/ka/projects/finished-projects/857>

<sup>52</sup> ვაკის რაიონის გამგეობის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=938259048343063&set=pcb.938266031675698>

<sup>53</sup> ქართული ოცნების ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=1083789086445222&set=a.488868739270596>

<sup>54</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=914924114014132&set=pcb.914928750680335>

- 2024 წლის ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებსა თუ დაბებში, ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების ნახევარზე მეტი დასრულებული იყო. მათ შორის, დასრულდა სოფელ უდემში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი.<sup>55</sup>
- 2024 წლის 9 სექტემბერს ბოლნისში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე გზის კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა.<sup>56</sup>
- 2024 წლის 9 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, ბორჯომში, ტაბაწყურში, მოლითში, ბალანთასა და ჭიხარულაში ინფრასტრუქტურული პროექტები დასრულდა.<sup>57</sup>
- 2024 წლის 11 სექტემბერს სოფელ წილკანში ახალგაზრდული ცენტრი „კრეატიული ოთახი“ გაიხსნა.<sup>58</sup>
- 2024 წლის 12 სექტემბერს საგარეჯოში, ჯაფარიძის ქუჩაზე ახალი, მრავალფუნქციური სპორტული მოედნის მშენებლობა დასრულდა.<sup>59</sup>
- 2024 წლის 12 სექტემბერს დედაქალაქის მერმა დიდმის მასივში ახლად რეაბილიტირებული სკვერები გახსნა.<sup>60</sup>
- 2024 წლის 13 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წალვერის ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დასრულდა.<sup>61</sup>
- 2024 წლის 15 სექტემბრის ინფორმაციით, მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ არაშენდაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია დასრულდა.<sup>62</sup>
- 2024 წლის 15 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საჩინოს ადმინისტრაციული ერთეულის, ლემეროზიეს უბანში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის მშენებლობის სამუშაოები 42 გრძივ მეტრზე დასრულდა.<sup>63</sup>
- 2024 წლის 16 სექტემბრის ინფორმაციით, სამტრედიის N2 სამუსიკო სკოლის სრულად რეაბილიტირებული შენობა გაიხსნა.<sup>64</sup>

<sup>55</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=906444891528721&set=pcb.906445791528631>

<sup>56</sup> ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=964576255709743&set=pcb.964577599042942>

<sup>57</sup> ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://shorturl.at/kUR2B>

<sup>58</sup> მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=915913150577799&set=a.915913687244412>

<sup>59</sup> საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=918451996975427&set=pcb.918452336975393>

<sup>60</sup> თბილისის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=925297072976074&set=pcb.925298602975921>

<sup>61</sup> ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფეისბუკგვერდი, იხ.

[https://www.facebook.com/permalink.php?story\\_fbid=pfbid03dEKdWceHtd8hqM7JJJEgwCYSS5fjoonXQKji3fYQtX6UwHRJLfbdJHeGMQYPY6s4l&id=100069146921708&rdid=qr0xQxvessx2qvmC](https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid03dEKdWceHtd8hqM7JJJEgwCYSS5fjoonXQKji3fYQtX6UwHRJLfbdJHeGMQYPY6s4l&id=100069146921708&rdid=qr0xQxvessx2qvmC)

<sup>62</sup> მცხეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, იხ. <http://mtskheta.gov.ge/ka/projects/finished-projects/856>

<sup>63</sup> წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/TsalenjikhMunicipality/videos/1692299454956777>

<sup>64</sup> სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/share/p/dZHJzYCrWFiHXApi/>

- 2024 წლის 16 სექტემბრის ინფორმაციით, ჭიათურის მუნიციპალიტეტში ორი საჯარო სკოლის - მე-5 და წყალშავის სკოლების სრული რეაბილიტაცია განხორციელდა.<sup>65</sup>
- 2024 წლის 16 სექტემბერს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეებში საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა.<sup>66</sup>
- 2024 წლის 17 სექტემბერს გორის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია დასრულდა.<sup>67</sup>
- 2024 წლის 18 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, ძირულის ადმინისტრაციულ ერთეულში საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი 3 სოფელში განხორციელდა.<sup>68</sup>
- 2024 წლის 19 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, ხონში, აუტიზმისა და ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯურხაძემ და ცენტრის ხელმძღვანელმა ზაზა პატარიძემ საზეიმო ვითარებაში გახსნეს.<sup>69</sup>
- 2024 წლის 23 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ოზუჯის ადმინისტრაციული ერთეულის ჯადირა ნაიშმარუს საუბნო გზებზე ბეტონის საფარი დააგეს. ოზუჯი-გალურის უბანში გარე განათებები, ჭაჭახის უბანში ცხაურები, ხოლო ოზუჯის ცენტრში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად, დამატებით სასმელი წყლის ავზი მოეწყო.<sup>70</sup>
- 2024 წლის 24 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, კურორტ აბასთუმნის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია დასრულდა.<sup>71</sup>
- 2024 წლის 24 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, აბასთუმნის ცენტრალურ ქუჩაზე მე-19-მე-20 საუკუნეების სახლებს რეაბილიტაცია ჩაუტარდათ.<sup>72</sup>
- 2024 წლის 1-ელ ოქტომბერს მარტვილის მუნიციპალიტეტში აზა ადამიას სახელობის ახლად რეაბილიტირებული №2 საჯარო სკოლა გაიხსნა.<sup>73</sup>

<sup>65</sup> ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/share/p/NsmCes5Egvs2u3NZ/>

<sup>66</sup> შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

[https://www.facebook.com/permalink.php?story\\_fbid=pfbid0WtVkkUFYeLJMnr5WkCktYyoGHsaEbcGZnAUjiXu4YJtNqKDgfEmiWPbreFnZgvSl&id=100064367335003](https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0WtVkkUFYeLJMnr5WkCktYyoGHsaEbcGZnAUjiXu4YJtNqKDgfEmiWPbreFnZgvSl&id=100064367335003)

<sup>67</sup> საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/media/set/?vanity=mdf.org&set=a.917844617049260>

<sup>68</sup> ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/share/p/3EGpNF63PYcNWA46/>

<sup>69</sup> ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://shorturl.at/uhFfH>

<sup>70</sup> წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/TsalenjikhMunicipality/posts/pfbid0UJLExei938EuaSfAaZh8UYVCWB2WdSDrc1me7JMm1F2PMrmJqD3MmXGu8Qu3WRnRI>

<sup>71</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

[https://www.facebook.com/permalink.php?story\\_fbid=pfbid02unhnj2mEWLcZjdwLqNG6Pva2Aq66NBfSSQzKjGsg2uGS7yPw6bnNdnyn8izzr6AMl&id=100064896541033&rdid=ZxUUHvotwFGCg1A1](https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02unhnj2mEWLcZjdwLqNG6Pva2Aq66NBfSSQzKjGsg2uGS7yPw6bnNdnyn8izzr6AMl&id=100064896541033&rdid=ZxUUHvotwFGCg1A1)

<sup>72</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

[https://www.facebook.com/permalink.php?story\\_fbid=pfbid0xETd5KJrxjVTNRormMq2w5mHj8WlRCSF7QQVKWQgFGngudA7sdD1wUxEbmKii3d1l&id=100064896541033](https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0xETd5KJrxjVTNRormMq2w5mHj8WlRCSF7QQVKWQgFGngudA7sdD1wUxEbmKii3d1l&id=100064896541033)

<sup>73</sup> მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდი, იხ.

<https://martvili.gov.ge/?p=15031>

- 2024 წლის 2 ოქტომბერს გავრცელებული ინფორმაციით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული ობიექტი შეემატა.<sup>74</sup>
- 2024 წლის 3 ოქტომბერს გავრცელებული ინფორმაციით, ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სტადიონის სრული რეაბილიტაცია დასრულდა.<sup>75</sup>
- 2024 წლის 4 ოქტომბერს ხაშურში, შინდარის დასახლებაში სკვერი გაიხსნა.<sup>76</sup>
- 2024 წლის ხულოს მუნიციპალიტეტში სოფელ ღორჯოში 28 სექტემბერს ახალი სპორტდარბაზი გაიხსნა.<sup>77</sup>
- 2024 წლის 4 ოქტომბერს გავრცელებული ინფორმაციით, კახეთში ოთხზოლიანი მაგისტრალის 35 კილომეტრიანი მონაკვეთი გაიხსნა.<sup>78</sup>
- 2024 წლის 5 ოქტომბერს გავრცელებული ინფორმაციით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში სპორტული კომპლექსის მშენებლობა დასრულდა.<sup>79</sup>
- 2024 წლის 5 ოქტომბერს ყაზბეგში სოფელ ყანოში სამ კილომეტრამდე გზა მოასფალტდა.<sup>80</sup>
- 2024 წლის 8 ოქტომბერს გავრცელებული ინფორმაციით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისში სპორტული მოედანი და სკვერი მოეწყო.<sup>81</sup>
- 2024 წლის 9 ოქტომბერს ბორჯომის სასპორტო სკოლის და ბიბლიოთეკის შენობის პროექტირება დასრულდა.<sup>82</sup>
- 2024 წლის 10 ოქტომბერს გავრცელებული ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევში ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა.<sup>83</sup>

<sup>74</sup> ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/share/p/Y4kQtGBZXJh29Ckm/>

<sup>75</sup> ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/KhobiMunicipality/posts/pfbid02Tv41O5qxDYu7THsCqAyFXLm3jT7YARm42shNcKTJWB3A8dJvmyuSpBKuc7UpusNyl>

<sup>76</sup> ხაშურის მუნიციპალიტეტის ფეისბუკგვერდი იხ.

<https://www.facebook.com/KhashuriCityHall/posts/pfbid0C7zsuL2YV3hcg96snHrLhpzhPxL8MbPpxZrMgFVSTa2gWD1TBNpLEgffUGx3SeKml>

<sup>77</sup> ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/watch/?v=893198956208161>

<sup>78</sup> rustavi2.ge, „კახეთში ოთხ ზოლიანი მაგისტრალის 35 კილომეტრიანი მონაკვეთი გაიხსნა - რამდენ ხანში შეძლებთ თბილისიდან თელავამდე მგზავრობას“, 4 ოქტომბერი, rustavi2.ge, იხ. <https://shorturl.at/9gEHo>

<sup>79</sup> საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/mdf.org/posts/pfbid035tx2HLMW7Mjpyt8aCqwUYAXYc57qXP9c1YynC2NDyHXhXtNWSx2AC1KmyPi2sPsgl>

<sup>80</sup> ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/watch/?v=343184985483013>

<sup>81</sup> ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/share/p/JmWqiHvjPcoXE8fQ/>

<sup>82</sup> ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/share/p/nBouhAKDaHGNoak7/>

<sup>83</sup> ხაშურის მუნიციპალიტეტის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/KhashuriCityHall/posts/pfbid025kydwHsv6PttVCT64ETpd1uVLccPX7GU2VUDnbnmXEqH7F93q4RYbndxc8bM6cvfol>

- 2024 წლის 11 ოქტომბერს ბათუმის შემოვლითი 14 კილომეტრიანი მაგისტრალური გზის მშენებლობა დასრულდა.<sup>84</sup>
- 2024 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს პირველი არხის ახალი შენობა გაიხსნა. გახსნის ცერემონიას „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატები - საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და პარტიის სხვა წევრები ესწრებოდნენ.<sup>85</sup>
- 2024 წლის 18 ოქტომბერს რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გაიხსნა.<sup>86</sup> გახსნის ცერემონიას „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატები ირაკლი კობახიძე, დავით კაჭარავა და სოზარ სუბარი ესწრებოდნენ.
- 2024 წლის 20 ოქტომბერს ზღვისუბანში პარკის გახსნა საზეიმო ღონისძიებით დასრულდა.<sup>87</sup> ღონისძიების გახსნას „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატი ვლადიმერ ბოჟაძე ესწრებოდა.
- 2024 წლის 21 ოქტომბერს ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ტყიბული-სოჩხეთის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 9 კილომეტრიანი მონაკვეთის ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაცია დასრულდა.<sup>88</sup>

გარდა დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა, საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობდა, რაც წინასაარჩევნო პერიოდისთვის უკვე დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკას წარმოადგენს. ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყებას/განხორციელებას ხელი შეუწყო ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მუნიციპალურ ბიუჯეტებში დამატებითი ფინანსური რესურსების გადატანამ.

#### 4.2.4. სავარაუდოდ ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევები

*საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან კენჭისყრის დღის ჩათვლით, აკრძალულია: საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით.<sup>89</sup>*

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით საყურადღებო იყო ისეთი ინიციატივები, რომლებიც ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს შეიცავდა:

<sup>84</sup> საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/share/p/8iBENaE6ZWrfCVuN/>

<sup>85</sup> Itv.ge, საქართველოს პირველი არხის ახალი შენობა, იხ. <https://shorturl.at/iwRQQ>

<sup>86</sup> radiotavisupleba.ge, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33163521.html>

<sup>87</sup> თბილისის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/bQTcvM5UL7qVgcWA/>

<sup>88</sup> ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფეისბუკგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/14uievrvEc/>

<sup>89</sup> საარჩევნო კოდექსი, მუხლი 48, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=91>

- 2024 წლის 30 აგვისტოს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის დელეგატი - ბოლნისის მერი დავით შერაზადიშვილი, თავის პირველ მოადგილესთან ბუბა გობეჯიშვილთან ერთად ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს ზვიად ლომსაძეს შეხვდა და გამარჯვება მიულოცა. ლომსაძეს მიღწეული წარმატებისთვის წამახალისებელი **ფულადი ჯილდო გადაეცა**.<sup>90</sup>
- მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ოქტომბერში ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის „ქართული ოცნების“ დელეგატის ვასილ ჩიგოგიძის მეუღლემ არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები ქალებისთვის“ სახელით **სასულიერო პირების მეუღლეებს 2,000 ლარიანი ვაუჩერები გადასცა**. ამასთან, ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი აღნიშნული ორგანიზაციის სახელით, 11 წარმატებულ მასწავლებელს **1,000 ლარიანი ვაუჩერის გადაცემას დაჰპირდა**. აღნიშნული ინფორმაცია რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მედიის წარმომადგენელთან დაადასტურა. პედაგოგებს მადლობის სიგელები თავად ვასილ ჩიგოგიძემ გადასცა.<sup>91</sup>
- პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2024 წლის 30 სექტემბერს, სპორტში მიღწეული წარმატებისთვის, UFC-ის ჩემპიონის ტიტულის მფლობელებს მერაბ დვალისძეს და ილია თოფურიას ფულადი ჯილდო გადაეცათ, თითოეულს **ერთი მილიონი ლარის ოდენობით**.<sup>92</sup> პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე „ქართული ოცნების“ პარტიის საარჩევნო სიის მე-2 ნომერი იყო.
- ახმეტაში, 2024 წლის 1-ელ ოქტომბერს ბიძინაობის დღესთან დაკავშირებით, სპორტული შეჯიბრებები გაიმართა. ალავრდელმა მიტროპოლიტმა მეუფე დავითმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტმა **შალვა პაპუაშვილმა მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით გამართულ ღონისძიებაზე საპატიო ახმეტელები დააჯილდოვეს**.<sup>93</sup>

### 4.3. საჯარო მოსამსახურეების პარტიულ ღონისძიებებში მონაწილეობა

*საქართველოს საარჩევნო კოდექსი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში კრძალავს საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების თანამშრომლების, ასევე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის, განათლების დაწესებულებებისა და საჯარო სკოლებში დასაქმებული პირების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას სამუშაო დროს ან/და სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.*

<sup>90</sup> ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია იხ. <https://www.facebook.com/photo/?fbid=957196933114342&set=pcb.957197089780993>

<sup>91</sup> TV პირველის youtube არხი, იხ. <https://rb.gy/p7tc68>

<sup>92</sup> საქართველოს მთავრობის ფეისბუკგვერდი, იხ. [https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/924175186410162?ref=embed\\_post](https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/924175186410162?ref=embed_post)

<sup>93</sup> ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/akhmetamunicipality/posts/pfbid02Dsn4rKHZhJgi7PDe1Dww6dR3PKgv6n3LDQgMgmmQbmzeR25djbV4fACo1NiciHkKl?rdid=BivCZQLxVyCan4PW>

არასამუშაო საათებში ან/და იმ პერიოდში, როდესაც საჯარო სექტორში დასაქმებული პირები სამსახურებრივ უფლებამოსილებას არ ასრულებენ, მათ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა, მათ შორის, პარტიულ ღონისძიებებზე დასწრება არ ეკრძალებათ.

წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტია ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებულ პირებს საარჩევნო ღონისძიებებზე მრავალრიცხოვანი დასწრების შთაბეჭდილების შესაქმნელად იყენებდა, რაც, რიგ შემთხვევაში, დასაქმებულების ნების საწინააღმდეგოდ, სამსახურებრივი მითითების საფუძველზე ხდებოდა. რამდენიმე შემთხვევაში, პარტიული ღონისძიების გამო, ადგილი ჰქონდა სამუშაო პროცესის შეფერხების შემთხვევებსაც, რაც საარჩევნო კოდექსის დარღვევას წარმოადგენს.

- 2024 წლის **21 აგვისტოს** მმართველმა პარტიამ მცხეთაში საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ღონისძიება გამართა. ღონისძიებაზე საჯარო ბალებისა და სკოლების პედაგოგები და საჯარო მოსამსახურეები მოიყვანეს. „ტვ პირველის“ სიუჟეტი ადასტურებს, რომ „ქართული ოცნების“ ღონისძიებაზე საჯარო სკოლებისა და ბალების პედაგოგებს, სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ პირებს დასწრება დაავალეს.<sup>94</sup>
- დემოკრატიის კვლევის ცენტრის ინფორმაციით, **სექტემბრის დასაწყისში** პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა და გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს დელეგატმა დავით სონღულაშვილმა შეხვედრა გამართა საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს სოფლებში. შეხვედრებზე სკოლის პედაგოგები ორგანიზებულად მიიყვანეს.
- **აგვისტოში** ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ფოთში ფოთის, ხობისა და სენაკის დელეგატმა გიორგი ხახუბიამ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი შტაბის წარმომადგენლის ინფორმაციით, შეხვედრაზე სკოლისა და ბაღის პედაგოგები ორგანიზებულად მიიყვანეს.
- **20 სექტემბერს** რუსთავში მმართველი პარტიის წინასაარჩევნო რეგიონული ღონისძიება გაიმართა. დემოკრატიის კვლევის ცენტრის ინფორმაციით, ღონისძიებას რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების სკოლების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისა და ადგილობრივი სამედიცინო ცენტრების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. წყაროს ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს ხელმძღვანელებმა მმართველი პარტიის რეგიონულ ღონისძიებაზე დასწრება დაავალეს.
- **28 სექტემბერს** თელავში მმართველი პარტიის წინასაარჩევნო ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებული პირები (სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პედაგოგები, ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები), რომლებსაც ღონისძიებაზე დასწრების მითითება ხელმძღვანელმა პირებმა მისცეს.
- 2024 წლის **სექტემბერში** ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარავანში, როდესაც მმართველი პარტიის წარმომადგენლები სოფლის მოსახლეობას ხვდებოდნენ, სოფლის საჯარო სკოლაში, სასწავლო პროცესი დაახლოებით, 1-ელ საათზე იმის გამო შეწყდა, რომ სკოლის პედაგოგები და ბავშვები აღნიშნულ შეხვედრაზე დასასწრებად წავიდნენ, რაც მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს.

<sup>94</sup> tvpirveli.ge, საჯარო მოხელეების მობილიზება მცხეთაში - „ოცნებას“ ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებაში ამხელენ, იხ. <https://shorturl.at/xY16o>

- **15 ოქტომბერს** ზუგდიდში მმართველი პარტიის წინასაარჩევნო ღონისძიებაზე აბაშის, სენაკის, ხობის, მესტიის, ზუგდიდისა და წალენჯიხის საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პედაგოგები და მედპერსონალი ორგანიზებულად მიიყვანეს.
- **23 ოქტომბერს** თბილისში, თავისუფლების მოედანზე, მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე მხარდამჭერების დიდი ნაწილი „ქართულმა ოცნებამ“ რეგიონებიდან ჩაიყვანა. წყაროს ინფორმაციით, შეხვედრაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ დაწესებულებებში დასაქმებული პირების მობილიზება ხელმძღვანელთა უშუალო დავალებით მოხდა.

#### 4.4. სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტით ორგანიზებულ ღონისძიებებში საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობა

წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიის დელეგატები მუნიციპალიტეტების მიერ დაფინანსებულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ. აღნიშნული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას წარმოადგენს და უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს სხვა საარჩევნო სუბიექტებს.

- **10 სექტემბერს** ადიგენში ახლად რეაბილიტირებული სპორტული და საცეკვაო დარბაზის გახსნას მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატი და ახალციხის, ბორჯომის, ადიგენისა და ასპინძის დელეგატი ანტონ ობოლაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე შმაგი ბიძიშვილი და სამცხე-ჯავახეთის ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ინა კაპანაძე დაესწრნენ.<sup>95</sup>
- **15 სექტემბერს** ფოთში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აეროლოგიური დაკვირვების სადგური გაიხსნა. მერიის ინფორმაციით, აეროლოგიური დაკვირვების სადგურის გახსნის ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი ვასილ გედევანიშვილი, ფოთის, ხობის და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ხახუბია და ფოთის მერი ბექა ვაჭარაძე ესწრებოდნენ.<sup>96</sup>
- **16 სექტემბერს** რუსთავში, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, **რუსთავის მერიის ფინანსური მხარდაჭერით**, ჯგუფი „ურსას“ კონცერტი გაიმართა. მერიის ფეისბუკგვერდზე გავრცელებული ინფორმაციით, „სადღესასწაულო კონცერტს რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, რუსთავისა და გარდაბნის ისტორიული სოფლების დელეგატი „ქართული ოცნებიდან“ ირაკლი შატაკიშვილი და პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი დაესწრნენ.“<sup>97</sup>
- **16 სექტემბერს** ფოთში, ბარათაშვილის ქუჩაზე, 130 აღსაზრდელზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. საბავშვო ბაღის გახსნას ქალაქის მერთან ერთად, „ქართული

<sup>95</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/photo?fbid=914923624014181&set=pcb.914928750680335>

<sup>96</sup> ფოთის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/poti.gov.ge/posts/pfbid029dx1eKMSrVDHvKkiZBWgergeBwYYnPV2G2xr1ihj86tYA2bUg8nNyqGqWH34Wjukl?rdid=5m3kbZMoPgb7AaNC#>

<sup>97</sup> რუსთავის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. [https://www.facebook.com/RustaviCityHall/posts/512800844706581?ref=embed\\_post](https://www.facebook.com/RustaviCityHall/posts/512800844706581?ref=embed_post)



ოცნების“ დელეგატი და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ხახუბია ესწრებოდა.<sup>98</sup>

- **16 სექტემბერს** ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოში ახლად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი გაიხსნა. გახსნის ცერემონიას პარლამენტის წევრი და თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხის დელეგატი ირაკლი ქადაგიშვილი ესწრებოდა.<sup>99</sup>
- **20 სექტემბერს** მარნეულში, მოსახლეობას „მარნეულობა“ მუნიციპალიტეტის მერმა კენან ომაროვმა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ ლია გიგაურმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა ზაურ დარგალმა და მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ მიულოცეს.<sup>100</sup> ზაურ დარგალი ამავდროულად, „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატი იყო.
- **20 სექტემბერს** კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების სასპორტო დაწესებულებებსა და კლუბებს სპორტული ინვენტარი და ეკიპირება გადასცა. ადგილზე ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხისა და მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი და ამჟამინდელი დელეგატი გოჩა ენუქიძე იმყოფებოდა,<sup>101</sup> რომელიც, ამავდროულად, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში იყო.
- **26 სექტემბერს** გოჩა ენუქიძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ოთარ შამუგიასთან ერთად, რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ მევენახეებთან გამართულ შეხვედრას და რთველს დაესწრო. რთველში, მინისტრთან და „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატთან ერთად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული პაპუნა მარგველიძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, ადგილობრივი ხელისუფლების და სამინისტროს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.<sup>102</sup>
- **27 სექტემბერს**, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ სამგორის რაიონის დელეგატი ვარლამ ლიპარტელიანი ვეტერანებს შეხვდა. შეხვედრაში მონაწილეობდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროსი კობა კობალაძე.<sup>103</sup>
- **28 სექტემბერს** ადიგენში ადგილობრივებს სახალხო დღე (ადიგენობა) ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ, ახალციხის, ბორჯომის, ადიგენის და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, ადიგენის

<sup>98</sup> ფოთის მერიის ფეისბუქგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/poti.gov.ge/videos/836403665245340>

<sup>99</sup> კახეთის მხარის ფეისბუქგვერდი, იხ.

[https://www.facebook.com/KakhetisMkhare/posts/908565141293813?ref=embed\\_post](https://www.facebook.com/KakhetisMkhare/posts/908565141293813?ref=embed_post)

<sup>100</sup> მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/watch/?v=1080034936976306&rdid=q7cgujs4Ao13HWeg>

<sup>101</sup> საქართველოს კულტურის სამინისტროს ფეისბუქგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/watch/?v=1265571314629818>

<sup>102</sup> ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ფეისბუქგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/ambrolaurimunicipality/posts/pfbid02ZD38fsWZRf3xWXUeeckPzgNrAxCFhMctbi5cSpkz4qxn uu4vMLB5xmEuNWa8nTCrI?rdid=EBH1I6rosxa6sj6z>

<sup>103</sup> rustavi2.ge, იხ. <https://rustavi2.ge/ka/news/293020>

მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქიმაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შმაგი ბიძიშვილმა მიულოცეს.<sup>104</sup>

- **7 ოქტომბერს** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე თბილისის 211-ე და 215-ე საჯარო სკოლებს ეწვია. 211-ე სკოლაში სტუმრებს შეუერთდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები - ბექა ოდიშარია და დავით კაჭარავა. დავით კაჭარავა მმართველი პარტიის საარჩევნო კანდიდატი იყო.<sup>105</sup>
- **18 ოქტომბერს** რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგრო გაიხსნა.<sup>106</sup> თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილ გახსნის საზეიმო ცერემონიას „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატები ირაკლი კობახიძე, დავით კაჭარავა და სოზარ სუბარი ესწრებოდნენ.
- **20 ოქტომბერს** ზღვისუბანში პარკი საზეიმო ღონისძიებით დასრულდა.<sup>107</sup> თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილ ღონისძიებას „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატი ვლადიმერ ბოჟაძე ესწრებოდა.
- **20 ოქტომბერს** ქუთაისის მუნიციპალიტეტში, 2024 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100%-იანი გრანტის მფლობელ ახალგაზრდებს ფულადი ჯილდო გადაეცათ. ახალგაზრდებს ჯილდო ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ერემიშვილმა, პარლამენტარმა ზაზა ლომინაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა გადასცეს.<sup>108</sup> ზაზა ლომინაძე მმართველი პარტიის საარჩევნო სიის 35-ე ნომერი იყო.
- **25 ოქტომბერს** ქუთაისში ქუთაისის საპატიო მოქალაქის, მუსიკოს მურმან შათირიშვილის 85 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს საარჩევნო სუბიექტი ზაზა ლომინაძე დაესწრო. საიუბილეო საღამო ქუთაისის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.<sup>109</sup>
- **24 ოქტომბერს** აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანში ახლად რეაბილიტირებული კულტურის სახლი საზეიმოდ გაიხსნა. სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ღონისძიებას საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი ბეჟან წაქაძე ესწრებოდა, რომელიც მმართველი პარტიის საარჩევნო სიაშიც იყო.<sup>110</sup>

## 5. წინასაარჩევნო პერიოდში ფიზიკური თავდასხმების, საარჩევნო კამპანიისთვის ხელისშემშლის და ზეწოლის ფაქტები

<sup>104</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=928524652654078&set=pcb.928528275987049>

<sup>105</sup> interpressnews.ge, იხ. <https://www.interpressnews.ge/ka/article/815338-ganatilebis-ministri-aleksandre-culaze-tbilisis-211-e-da-215-e-sajaro-skolebs-ecvia/>

<sup>106</sup> radiotavisupleba.ge, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33163521.html>

<sup>107</sup> თბილისის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ.

[https://www.facebook.com/CityHallOfTbilisi/posts/954400880065693?ref=embed\\_post](https://www.facebook.com/CityHallOfTbilisi/posts/954400880065693?ref=embed_post)

<sup>108</sup> ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/1B5RHYuuvU/>

<sup>109</sup> ქუთაისის მერიის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/19cRs1omei/>

<sup>110</sup> აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფეისბუკგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/share/p/1AWfvLNq6f/>

## 5.1. საარჩევნო სუბიექტებზე თავდასხმებისა და საარჩევნო კამპანიისთვის ხელისშემლის ფაქტები

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ოპოზიციური პარტიების საარჩევნო კამპანიისთვის ძალადობრივად ხელის შეშლის შემთხვევები გახშირდა.

უმეტეს შემთხვევაში ძალადობა მიზნად ისახავდა ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ამომრჩეველთან შეხვედრების ჩაშლას. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში პარტიების წარმომადგენლებმა თავად მოახერხეს თავდამსხმელი პირების იდენტიფიცირება, საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, დაიწყო თუ არა გამოძიება თავდასხმის რომელიმე ფაქტზე. განსაკუთრებით შემამფოთებელია სამართალდამცავი უწყებების უმოქმედობა ფიზიკური თავდასხმის იმ ფაქტებზე, რომელსაც ისინი თავად შეესწრნენ. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გამოჩენილმა დემონსტრაციულმა მიკერძოებულობამ და ძალადობის შემთხვევებზე ნულოვანმა რეაგირებამ წინასაარჩევნო გარემო მნიშვნელოვნად დააზარალა.

- **3 აგვისტოს ბათუმში** პირთა ჯგუფმა პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართული შეხვედრის ჩაშლა სცადა. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, მათ შორის იყვნენ აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს თანამშრომელი და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ნათესავი მანუჩარ რიჟვაძე. ბათუმის მერიის გამწვანების სამსახურის თანამშრომელი („ქართული ოცნების“ კოორდინატორი) ნუგზარ ინაიშვილი, ბათუმის მერიის ბაღების გაერთიანების თანამშრომელი („ქართული ოცნების“ კოორდინატორი) ზურაბ მალაზონია და ბათუმის საკრებულოს „ქართული ოცნების“ ფრაქციის სპეციალისტი გაბი კამაევი.<sup>111</sup>
- **8 სექტემბერს ქარელში** „კოალიცია ძლიერი საქართველოს“ წევრებს მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ქარელის მერის მოადგილის ვლადიმერ სულაქველიძის მეუღლე და თანმხლები პირები დაუპირისპირდნენ. კოალიციის წარმომადგენლების განცხადებით და გავრცელებული კადრებით დასტურდება, რომ საპატრულო პოლიცია მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, თუმცა ინციდენტზე რეაგირება არ ჰქონია.<sup>112</sup>
- **14 სექტემბერს გორში** „კოალიცია ცვლილებებისთვის“ წევრი ლექსო ვალიაური „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა საარჩევნო შეხვედრის მიმდინარეობისას სცემეს. ვალიაურის განცხადებით, მასზე თავდასხმა პრემიერ-მინისტრის მიმართ „მონის“ და „მოლაღატის“ დამახეზას მოჰყვა. ნეტგაზეთთან ინტერვიუში ვალიაურმა განაცხადა, რომ თავდასხმის მომენტში ახლოს იმყოფებოდა პრემიერ-მინისტრის ესკორტიც, საიდანაც ირაკლი კობახიძეს მის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტის დანახვა შეეძლო. ოპოზიციონერის განცხადებით, თავდასხმას კრიმინალური პოლიციაც შეესწრო, რომელსაც ცემის ფაქტზე რეაგირება არ ჰქონია.<sup>113</sup>
- პარტია „ახლების“ რეგიონული შტაბის წარმომადგენლის განცხადებით, **18 სექტემბერს ქუთაისში** „კოალიცია ცვლილებებისთვის“ წევრებს სააგიტაციო მასალის დარიგების

<sup>111</sup> netgazeti.ge, გახარია პარტია: დადგენილია მათი ვინაობა, ვინც ბათუმში ჩვენს კამპანიას ხელს უშლიდა, იხ. <https://netgazeti.ge/news/734816/>

<sup>112</sup> პოლიტიკური გაერთიანება „ძლიერი საქართველოს“ წევრის ლანა გალდავას ფეისბუქგვერდი, იხ. <https://www.facebook.com/lanagaldava.1/videos/2295589207441495>

<sup>113</sup> netgazeti.ge, მოქალაქის თქმით, გორში კობახიძისთვის „მოლაღატის“ დამახეზის გამო სცემეს, იხ. <https://netgazeti.ge/news/742023/>

დროს რამდენიმე პირი ავტომობილით მიუახლოვდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და შელაპარაკების შემდეგ ბეისბოლის ჯოხით ფიზიკურად გაუსწორდა. პარტიის წარმომადგენლის განცხადებით, ერთ-ერთ ახალგაზრდას თავის არეში მიძიმე დაზიანებები აქვს მიღებული. დაზიანებები მიიღო ახალგაზრდას მამამაც, რომელიც ადგილზე იმყოფებოდა. დაშავებულებს ჰოსპიტალიზაცია დასჭირდათ.

- **19 სექტემბერს** „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს **ზუგდიდში** მოსახლეობასთან შეხვედრის დროს თავს დაესხა 50-მდე პირი, რომელთა ნაწილს პარტია „ქართული ოცნების“ მაისურები ეცვა. პარტიის წარმომადგენლების მიერ გავრცელებულ ფოტოებზე ჩანს, რომ შემთხვევის ადგილზე იმყოფებიან საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, თუმცა თავდასხმა არ აღუკვეთავთ.<sup>114</sup> „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ანა წითლიძემ თავდასხმაში მონაწილე პირები დაასახელა:<sup>115</sup> შსს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი შოთა ბაჯალაძე, ა(ა)იპ ზუგდიდის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე გოგა მოსია, „ქართული ოცნების“ აქტივისტები დიმა გოგოხია, რამაზ ბაღბაია და დათა დარსანია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული მოხელე ზვიად მალაზონია და სამეგრელო-ზემო სვანეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის თანამშრომელი თეონა ქარდავა.
- პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერის ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, **3 ოქტომბერს სენაკის** სოფელ ნოქალაქევში მათი პარტიის წარმომადგენელი შორენა შამათავა მმართველი პარტიის სიტყვიერი თავდასხმების მსხვერპლი გახდა, რის გამოც მისი სტაციონარში გადაყვანა გახდა საჭირო.<sup>116</sup>
- **9 ოქტომბერს** პარტია „საქართველოსთვის“ წევრებს, რომლებიც თბილისში, **ამაღლების ქუჩაზე** პლაკატებს აკრავდნენ, თავს „ქართული ოცნების“ 20-მდე მხარდამჭერი დაესხა. გავრცელებულ კადრებში ჩანს, როგორ ხევენ ისინი გაკრულ სააგიტაციო მასალებს. პარტიის წევრების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა თავდამსხმელის იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო, შსს-ს, მიმართვის მიუხედავად, ქმედითი ღონისძიებები არ გაუტარებია.<sup>117</sup>
- **12 ოქტომბერს** პარტია „საქართველოსთვის“ დეპუტატის შალვა კერესელიძის ინფორმაციით, სოფელ ქსანში მათი პარტიის მხარდამჭერისთვის მანქანის დაჯახება სცადეს. კერესელიძემ მომხდარში „ქართული ოცნების“ დეპუტატის დიმიტრი ხუნდაძის „დაჯგუფების წევრი“ გიორგი მურჯიკნელი დაადანაშაულა.<sup>118</sup>
- გავრცელებული ინფორმაციით, **14 ოქტომბერს ოზურგეთს მუნიციპალიტეტის** სოფელ გურიანთაში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს თავს მაშინ დაესხნენ, როდესაც ისინი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების შეხვედრაზე მივიდნენ. მედიის

<sup>114</sup> netgazeti.ge, ზუგდიდში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს თავს დაესხნენ – ანა წითლიძე, იხ.

<https://netgazeti.ge/news/742868/>

<sup>115</sup> ანა წითლიძის ფეისბუკგვერდი, იხ. <https://shorturl.at/hEMtD>

<sup>116</sup> publika.ge, 3 ოქტომბერი, იხ.

<https://www.facebook.com/publika.ge/posts/pfbid0p4hvU9GXhF6Mz9orRtTUkN61mLRRPJvZBrmVfhoWXwpEj8ZB9gjSt8pvvAaqkH69l?rdid=DjpiYI56pjVfdXHC>

<sup>117</sup> radiotavisupleba.ge, „გახარიას პარტიაში აცხადებენ, რომ მათ წარმომადგენლებს ქუჩაში თავს დაესხნენ“, იხ.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/33152700.html>

<sup>118</sup> formulanews.ge, იხ. <https://formulanews.ge/News/118353>

ინფორმაციით, შეხვედრა „საარჩევნო სიებით მანიპულაციების თაობაზე“ იმართებოდა.<sup>119</sup>

- **17 ოქტომბერს** „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს ცივი იარაღით შეიარაღებული პირები დახვდნენ. შემთხვევა ისანში, საოლქო საარჩევნო კომისიასთან მოხდა, როდესაც პარტიის წარმომადგენელი მარიამ დოლიძე მედიას სპეციალური სიების დამტკიცებასთან დაკავშირებით ინტერვიუს აძლევდა. უცნობმა პირებმა ოპოზიციის წარმომადგენელს სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს. პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებით, თავდასხმა „ქართული ოცნების“ ორგანიზებითა და დაკვეთით მოხდა.<sup>120</sup>
- **23 ოქტომბერს** პარტია „საქართველოსთვის“ წევრს ლევან გოგიჩაიშვილს მეტროს ვაგონში 20-მდე ადამიანი დაესხა თავს. მომხდარში პარტიის ლიდერმა გიორგი გახარია „ქართული ოცნება“ დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ თავდასხმა ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული.<sup>121</sup> ინციდენტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ჯგუფური ძალადობის მუხლით დაიწყო.<sup>122</sup>
- **25 ოქტომბერს** თავს დაესხნენ „მთავარი არხის“ ჟურნალისტს ია გულიაშვილს და გადამღებ ჯგუფს. ინციდენტი გურჯაანის მე-2 საარჩევნო უბანზე მოხდა. ჟურნალისტის განცხადებით, მას თავს დაესხა და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიყენა სპორტსკოლის მაშველმა კახა დევიძემ, რომელიც ჟურნალისტური გამოძიებით გალიზიანდა. ჟურნალისტი საარჩევნო უბანზე ერთსა და იმავე მისამართზე ათეულობით ადამიანის რეგისტრაციის მიზეზს არკვევდა. ტელეკომპანია „მთავარის“ განცხადებით, თავდასხმა დააორგანიზა ხელისუფლებამ, კახა დევიძე კი „ქართული ოცნების“ „ზონდერია“.<sup>123</sup>

## 5.2. ამომრჩევლებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევები

*საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ამომრჩევლის ხმის ფარულობა და პირის უფლება, თავისუფალ და თანასწორ გარემოში არჩევანი გააკეთოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებით. ამასთან, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნების საწინააღმდეგოდ ჩამორთმევა წარმომადგენს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევას. ასევე, სისხლის სამართლის წესით ისჯება პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა.*

<sup>119</sup> mtavari.tv, ოზურგეთში, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს თავს დაესხნენ“, იხ.

<https://mtavari.tv/news/167284-ozurgetshi-ertianoba-natsionaluri-modzraobis>

<sup>120</sup> მთავარი არხი, „თავდასხმა პოლიტიკურ ოპონენტებზე | ოპოზიციის წარმომადგენლებს ისანში ცივი იარაღით შეიარაღებული ე.წ ქურდული მენტალიტეტის მქონე პირები დახვდნენ“, იხ. <https://mtavari.tv/news/167396-tavdaskhma-politikur-oponentebze-opozitsii>

<sup>121</sup> radiotavisupleba.ge, „გახარია: „ოცნების“ ორგანიზებული მოძალადეების დაჯგუფება ლევან გოგიჩაიშვილს თავს დაესხა“, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33170763.html>

<sup>122</sup> რუსთავი 2, „ლევან გოგიჩაიშვილს თავს დაესხნენ“, იხ. <https://rustavi2.ge/ka/news/295814>

<sup>123</sup> მთავარი არხი, „კახეთში, „ოცნების“ ტიტუშკები, „მთავარი არხის“ გადამღებ ჯგუფს დაუპირისპირდნენ“, იხ. <https://mtavari.tv/news/168034-kakhetshi-otsnebis-titushkebi-mtavari-arkhis>

- რამდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელი წყაროს ინფორმაციით, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს და სოციალურად დაუცველ ადამიანებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები მათი ნების საწინააღმდეგოდ ჩამოართვეს. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულ ქმედებას, სავარაუდოდ, მასშტაბური ხასიათი ჰქონდა და, არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული ერთეულით ან/და საჯარო სტრუქტურით.<sup>124</sup> გავრცელებული ინფორმაციით, **მსგავსი შემთხვევა მოხდა საგარეჯოში, ზუგდიდში, ყვარელში, ქუთაისში, სენაკსა და თბილისში.** ხელისუფლების მხრიდან მსგავსი მეთოდების გამოყენება სავარაუდოდ, ემსახურებოდა როგორც ამომრჩევლებში შიშის დანერგვის მცდელობას, რომ არჩევნების დღეს მათი ხმის ფარულობა არ იქნებოდა დაცული, ასევე, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შედეგებზე გავლენის მოხდენას სხვისი პირადობის მოწმობით ხმის მიცემის გზით.
- ხობის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, „ნაციონალური მოძრაობის“ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი შვილის, რომელიც საჯარო სამსახურშია დასაქმებული, სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრა. მუქარის გამო, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა კომისიის წევრობაზე უარი განაცხადა.
- 2024 წლის 15 ოქტომბერს საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით, „ქართულმა ოცნებამ“ პარტიის ოფისებში წინასაარჩევნოდ დეტალურად დაამუშავა ათობით ათასი ადამიანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის პირადი მონაცემები. ამავე ინფორმაციით, მმართველ პარტიას მოქალაქეების პერსონალურ მონაცემები იუსტიციის, ჯანდაცვის, განათლების, შინაგან საქმეთა, სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროებმა მიაწოდეს. სწორედ ეს სამინისტროები არიან იმ ტიპის მონაცემთა შეგროვება-შენახვასა და დამუშავებაზე პასუხისმგებლები, რაც მმართველმა პარტიამ სავარაუდოდ, ამომრჩეველთა ინდივიდუალური და მასობრივი პროფილირებისთვის გამოიყენა.<sup>125</sup>

### 5.3. საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გათავისუფლების შემთხვევები

წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო სკოლებიდან რამდენიმე დირექტორი გაათავისუფლეს. მათი გათავისუფლება, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით მოხდა.

მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო სკოლის დირექტორები თანამდებობაზე კონკურსის წესით, სპეციალურ კომისიასთან გასაუბრების გზით ინიშნებიან, საბოლოო გადაწყვეტილებას კი - სამეურვეო საბჭო იღებს. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს დირექტორის დანიშვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ სამეურვეო საბჭო ვერ ახერხებს დირექტორის არჩევას.<sup>126</sup> ყველა შემთხვევაში, გათავისუფლებული პირები დირექტორის მოვალეობას ასრულებდნენ და 2024 წლის აგვისტოში, მათ ნაცვლად,

<sup>124</sup> ნეტგაზეთი, 19 ოქტომბერი, 2024, „ვინ და რატომ ართმევს ამომრჩევლებს პირადობის მოწმობებს“, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/747280/>

<sup>125</sup> batumelebi.netgazeti.ge, იხ. <https://shorturl.at/A1lbd>

<sup>126</sup> საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 42, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=106>

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ახალი დირექტორები დანიშნა.

- 2024 წლის აგვისტოში სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის დირექტორი თანამდებობიდან, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს. ის დირექტორის მოვალეობას 2014 წლიდან ასრულებდა. გავრცელებული ინფორმაციით, დირექტორი პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ღია მხარდამჭერი იყო. დირექტორმა თანამდებობიდან გაათავისუფლება მის პოლიტიკურ შეხედულებებს დაუკავშირა.
- იმავე თვეში დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლის დირექტორი, რომელიც თავის მოვალეობას 2004 წლიდან ასრულებდა. დირექტორი ღიად უჭერდა მხარს პარტიას „გახარია საქართველოსთვის“.
- იგივე პერიოდში თანამდებობიდან გაათავისუფლეს თბილისის 21-ე საჯარო სკოლის დირექტორი. ამ შემთხვევაშიც, მინისტრმა დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენა და თანამდებობაზე სხვა პირი დანიშნა. სკოლის ყოფილმა დირექტორმა გაათავისუფლება მის პოლიტიკურ შეხედულებებს დაუკავშირა. მისი განცხადებით, ის ყოველთვის უარს ამბობდა მმართველი პარტიის „დავალებებზე“ და პოლიტიკურ პროცესში ჩართვაზე.
- 2024 წლის აგვისტოში დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს ხობის N1 საჯარო სკოლის დირექტორი. ამ შემთხვევაშიც, მისი გაათავისუფლება, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით მოხდა. ხობის N1 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი მმართველი პარტიის მხარდამჭერი განცხადებებით არ გამოირჩეოდა.
- ასევე 2024 წლის აგვისტოში დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს ხობის რესურსცენტრის უფროსი მაშინ, როდესაც ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო თბილისში, ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობის კურსს გადიოდა. რესურსცენტრის უფროსად კი, „ნაციონალური მოძრაობის“ ხობის წარმომადგენლის განცხადებით, ხობის მერის ცოლის მეგობარი დანიშნეს.

#### 5.4. საოფისე ფართების დაქირავებისას შექმნილი სირთულეები

წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა რეგიონებში საარჩევნო შტაბებისთვის ფართების დაქირავების სირთულეზე არაერთხელ გაამახვილეს ყურადღება:

- „კოალიცია ცვლილებებისთვის“ წარმომადგენლების ინფორმაციით, **რუსთავში, წალკასა და საგარეჯოში** საოფისე ფართის მოძიება გაურთულდათ. კოალიციის წარმომადგენლების განცხადებით, ფართის მესაკუთრეები უარს მას შემდეგ ეუბნებოდნენ, რაც იგებდნენ, რომ ფართის დაქირავება საარჩევნო მიზნებისთვის სჭირდებოდათ. საგარეჯოში კოალიციას ფართის მიქირავებაზე უარი ავეჯის შეტანის ეტაპზე უთხრეს.
- ფართის დაქირავების პრობლემები შეექმნათ კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წარმომადგენლებსაც. კოალიციის წარმომადგენლების თქმით, **სიღნაღში, ლაგოდეხში, დედოფლისწყაროსა და ყვარულში** რამდენჯერმე ჩაეშალათ მოლაპარაკება უძრავი ქონების დაქირავებასთან დაკავშირებით.

## 6. კენჭისყრის დღე

დემოკრატიის კვლევის ცენტრის დამკვირვებლები კენჭისყრის დღეს 20-ზე მეტ საარჩევნო უბანზე დააკვირდნენ. ამასთან, ორგანიზაციის იურისტებმა კონსულტაცია გაუწიეს კოალიცია „ჩემი ხმის“ ათობით დამკვირვებელს საარჩევნო უბნებზე.

დემოკრატიის კვლევის ცენტრის მიერ ადგილზე დაკვირვებით თუ დამკვირვებლების ანგარიშების საფუძველზე მიღებული/დამუშავებული ინფორმაციის თანახმად, 26 ოქტომბერს კენჭისყრის დღე მძიმე დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა.

კენჭისყრის დღეს დარღვევების მასშტაბურობასა და სისტემურობას ხელი შეუწყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 16 აგვისტოს დადგენილებამ, რომლითაც განსხვავებულად დარეგულირდა საარჩევნო კომისიის წევრთა შორის ფუნქციების განაწილების საკითხი. კერძოდ, დადგენილების მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს შორის ფუნქციები (ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი, ამომრჩეველთა რეგისტრატორი, გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები და საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი) 19 ოქტომბრამდე გაანაწილა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დადგენილება „საარჩევნო კოდექსისგან“ განსხვავებულ წესს ადგენდა და ის ოპოზიციურმა კოალიცია „ძლიერმა საქართველომ“ სასამართლოში გაასაჩივრა, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს.

წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი და გაანალიზებული ფაქტები ნათელყოფს, რომ წინასაარჩევნო პერიოდი გაჯერებული იყო ფსიქოლოგიური ზეწოლის, სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების, ადმინისტრაციული რესურსის მასობრივად გამოყენებისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტებით. რაც შეეხება კენჭისყრის დღეს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები ყველაზე მასშტაბური და სისტემური დარღვევებით გამოირჩეოდა.

### 6.1. ხმის ფარულობის დარღვევა

2024 წლის 26 ოქტომბერს იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა, დამტკიცებული ბიულეტენისა და სპეციალური მარკერის მახასიათებლები ვერ უზრუნველყოფდა ხმის მიცემის ფარულობას. საარჩევნო ბიულეტენის მეორე მხარეს გამოჭონილი მკაფიო კვალი, სავარაუდოდ, ბიულეტენის ქაღალდის დაბალი ხარისხით იყო გამოწვეული. ხმის მიცემის ფარულობა სისტემურად ირღვეოდა ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ აპარატში მოთავსებისას. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებლებმა ყველა იმ უბანზე დააფიქსირეს, სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა.





საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის საფუძველით ყველა იმ უბნის (2263) შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა, სადაც არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა. 73 საოლქო საარჩევნო კომისიის უარი საიამ 24 რაიონულ/საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა, აქედან მხოლოდ თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა მნიშვნელოვნად ტექნოლოგიურ უბნებზე ხმის მიცემის ფარულობის სასამართლო ექსპერიმენტით შემოწმება. სასამართლო ექსპერიმენტით დადასტურდა, რომ ბიულეტენის უკანა მხარეს მარკერის კვალი ხილვადი იყო, რამაც, მოსამართლის აზრით, ხმის ფარულობის უფლება დაარღვია.<sup>127</sup> შესაბამისად, სასამართლომ თეთრიწყაროსა და წალკის იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც არჩევნები ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ჩატარდა, კენჭისყრის შედეგები გააბათილა. მოგვიანებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ცესკოს სააპელაციო საჩივარი, რითაც ცენტრალური საარჩევნო კომისია თეთრიწყაროს სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა, დააკმაყოფილა.

გარდა ამისა, კენჭისყრის დღეს, ყველა საარჩევნო უბანზე განლაგებული იყო მმართველი პარტიის სტაციონარული ვიდეოგადაღების კამერები და, სავარაუდოდ, მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ვიდეოგადაღება. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №1/2024 დადგენილების მიხედვით,<sup>128</sup> საარჩევნო უბანში ფოტოვიდეოგადაღება ნებადართულია საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, ცესკოს 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.<sup>129</sup>

*დადგენილების მიხედვით, დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის კაბინის ფოტოვიდეოგადაღება. კენჭისყრის შენობაში დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით ისეთი ინფორმაციისა თუ მასალის გადაღება, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციას არ განეკუთვნება (პერსონალური მონაცემები). თუ სტაციონარული ვიდეოგადაღებები აპარატით ფოტო-ვიდეოგადაღება ხორციელდება 10 წუთზე მეტი ხნის*

<sup>127</sup> თეთრიწყაროს სასამართლომ ხმის ფარულობის დარღვევა დადასტურა, 4 ნოემბერი, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33187677.html>

<sup>128</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №1/2024, 22 იანვარი, იხ. <https://shorturl.at/PbMqk>

<sup>129</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება, №42/2012, 24.09.2012, იხ. <https://cesko.ge/static/res/old/other/15/15186.pdf>

განმავლობაში, მაშინ აპარატი უნდა განთავსდეს კენჭისყრის შენობაში გამოყოფილი სპეციალური ადგილას.

მუდმივი ვიდეოგადაღების დროს, ფოტო-ვიდეოგადაღების აპარატის ადგილმდებარეობა იმდაგვარად უნდა იყოს შერჩეული, რომ ჩანდეს მხოლოდ საარჩევნო ყუთი, ხმის ფარულობის სტანდარტისა და პერსონალური მონაცემების დაცვით.

რამდენიმე შემთხვევაში, საარჩევნო უბნებზე სტაციონარული ვიდეოგადაღები კამერები დადგენილი სტანდარტების დარღვევით იყო განთავსებული.<sup>130</sup> მათი ადგილმდებარეობა მხოლოდ დამკვირვებელთა მითითების შემდეგ იცვლებოდა. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, კამერა იდგა საარჩევნო კაბინის გვერდით.<sup>131</sup> სხვა შემთხვევაში, საარჩევნო ყუთთან კამერა ისე იყო განთავსებული, რომ ბიულეტენზე გაფერადებული ადგილი, სავარაუდოდ, კამერისთვისაც აღსაქმელი იქნებოდა.<sup>132</sup>

საარჩევნო უბნებზე კამერების ამგვარი განლაგება ერთი მხრივ, ხელს უშლიდა თავისუფალი საარჩევნო გარემოს შექმნას და მეორე მხრივ, ამომრჩევლებში ზედმეტი წნეხის, ფარულობის დარღვევისა და ზეწოლის განცდას აჩენდა.

## 6.2. დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ ვალდებულება, შექმნან ყველა პირობა, რათა დამკვირვებელმა შეძლოს „საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება საარჩევნო კომისიაში მიმდინარე ყველა პროცედურასთან დაკავშირებით, მათ შორის, ბიულეტენების დათვლისა და შედეგების შეჯამების მსვლელობის დროს“,<sup>133</sup> კენჭისყრის დღეს ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ბევრ შემთხვევაში არ მიეცათ კენჭისყრის პროცედურის სრულყოფილი დაკვირვების შესაძლებლობა.

26 ოქტომბერს ადგილი ჰქონდა დამკვირვებლების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის არაერთ ფაქტს. მაგალითად, მარნეულის მე-4 უბანზე სცემეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებელი. გიორგი გოცირიძეს კენჭისყრის შენობიდან გამოსვლისას თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა საუბნო კომისიის წევრი და უბნის გარეთ მდგომი უცნობი პირი. ძალადობას წინ უსწრებდა უბანზე არსებული დარღვევების დაფიქსირებისას დამკვირვებლის მიმართ მუქარა.<sup>134</sup>

ნამალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის 27-ე საარჩევნო უბანზე კოალიცია „ჩემი ხმის“ დამკვირვებელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა. დამკვირვებელი კენჭისყრის შენობის კართან ახლოს დიდხანს „უმიზნოდ“ გაჩერებული

<sup>130</sup> მაგალითად, დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა სამგორის, ისნის, რუსთავის, გურჯაანის, ბაღდათის, დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიებში შესულ საარჩევნო უბნებზე.

<sup>131</sup> მაგალითად, სამგორის ოლქის ერთ-ერთ უბანზე განთავსებული კამერა პირდაპირ უყურებს საარჩევნო კაბინას. იხ. <https://www.wevote.ge/20243?pgid=m2uvp5d2-6279fa0d-3b88-46f0-a848-ee18051deac1>

<sup>132</sup> მაგალითად, დუშეთის ოლქის ერთ-ერთ უბანში განთავსებული კამერა პირდაპირ უყურებდა ძირითად ყუთს, ისე, რომ გაფერადებული ადგილის გამოჩენის შემთხვევაში, ეს ფაქტი კამერისთვის აღსაქმელი იქნებოდა. იხ. <https://www.wevote.ge/20243?pgid=m2uvp5d2-9aba3fbe-7a5d-46b2-8da1-e8e57fe62a43>

<sup>133</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 41, ნაწილი 5

<sup>134</sup> ნეტგაზეთი, 26.10.2024, „საია აცხადებს, რომ მარნეულის მე-4 უბანზე მათ დამკვირვებელს, გიორგი გოცირიძეს სცემეს“, ხელმისაწვდომია <https://netgazeti.ge/news/748533/>

პირების ყოფნას აპროტესტებდა, რასაც შელაპარაკება მოჰყვა. დამკვირვებელი ამ ვითარებას ტელეფონით იღებდა, როდესაც მმართველი პარტიის წარმომადგენელმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა საარჩევნო უბნიდან დამკვირვებლების გამოძევების ან/და გამოძევების მუქარის ფაქტი. მაგალითად, გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთ უბანზე დამკვირვებელს აეკრძალა რეგისტრატორის მაგიდებთან 3 მეტრზე ახლოს დგომა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უბნიდან გაძევებით დაემუქრნენ. ამავე ოლქის სხვა უბანზე, დამკვირვებელი უბნიდან ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის გაკეთების გამო გააძვეს. კოალიცია „ჩემი ხმის“ ერთ-ერთ დამკვირვებელს გაძევებით ზუგდიდშიც ემუქრებოდნენ.

ფიზიკური შეურაცხყოფის და მუქარის ფაქტების გარდა, დამკვირვებლებს ეზღუდებოდათ კენჭისყრის პროცესზე სრულყოფილად დაკვირვების უფლება. მაგალითად, ბევრ შემთხვევაში დამკვირვებლებს არ მისცეს ვერიფიკაციის აპარატებზე დაკვირვების შესაძლებლობა. კენჭისყრის შენობების აბსოლუტურ უმრავლესობაში მაგიდები, სადაც მოთავსებული იყო ვერიფიკაციის აპარატები, კედელთან ისე ახლოს იყო განლაგებული (მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრის უბნის შიდა სივრცე იძლეოდა მაგიდების სხვაგვარად განლაგების შესაძლებლობას), რომ დამკვირვებლებს არ შეეძლოთ პროცესის ახლოდან დაკვირვება. დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა ისნის, რუსთავის, გარდაბნის, სიღნაღის, თელავის, საგარეჯოს, ბაღდათის ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე.

*მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დამკვირვებელს უფლება აქვს კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან.<sup>135</sup>*

2024 წლის 26 ოქტომბერს დამკვირვებლის უფლებების დარღვევა სისტემურ ხასიათის ატარებდა. დამკვირვებლებისთვის კენჭისყრის პროცესის დაკვირვებაში ხელის შეშლა, უბნიდან გაძევება, ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის გაკეთების უფლების შეზღუდვა, საჩივრის დარეგისტრირებაზე უარის თქმა, უარყოფითად აისახა არჩევნების საბოლოო შედეგების ლეგიტიმურობაზე.

### 6.3. მარკირების წესების დარღვევა

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მარკირების შესამოწმებელი ფანრის მწყობრიდან გამოსვლა მასობრივ ხასიათს ატარებდა. დამკვირვებელთა უმეტესობა აღნიშნავდა, რომ მათ საარჩევნო უბნებზე, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გამოცვალეს ფანარი, მარკირების კვალის შემოწმება სათანადოდ მაინც არ/ვერ ხდებოდა. დამკვირვებლების მოწოდებული ინფორმაციით, მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა თელავის, სიღნაღის, რუსთავის და

მარნეულის ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე.

მეორე მხრივ, დაფიქსირდა საარჩევნო კომისიის ნაკადის მომწესრიგებელი წევრის (ვინც უშუალოდ ამოწმებს მარკირების პროცედურას) მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი

<sup>135</sup> იქვე. მუხლი 41, ნაწილი 1, ბ) ქვეპუნქტი.

შესრულების შემთხვევებიც. მაგალითად, თელავის ოლქში შემავალ ერთ-ერთ უბანზე შესაბამისი კომისიის წევრი ამომრჩეველს მარკირებას არ უმოწმებდა, რაც დაპირისპირებისა და დამკვირვებლის უბნიდან გაძევების მუქარის საფუძველი გახდა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, *თუ საარჩევნო უბანზე მყოფ დამკვირვებელს ეჭვი გაუჩნდა მარკირების ან მისი შემოწმების პროცედურის გამო, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი პროცედურის ხელახლა ჩატარება. ამ პირებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სათანადო რეაგირება მარკირების პროცედურის დარღვევის ნებისმიერ გამოვლინებაზე.*<sup>136</sup>

ნაკადის მომწესრიგებლის მხრიდან დაკისრებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევა ასევე დაფიქსირდა მარნეულის, საგარეჯოს, სიღნაღის, გარდაბნის და რუსთავის ოლქებში.

გარდა ამისა, საარჩევნო უბნებზე სისტემურად ფიქსირდებოდა მარკირების სითხის ხარისხის პრობლემაც, რადგან რამდენიმე უბანზე, უკვე მარკირების პროცედურის გავლის შემდეგ, ამომრჩევლებს არ ჰქონდათ შესაბამისი კვალი. მსგავსი შემთხვევების შესახებ ყველაზე ხშირად შეტყობინება რუსთავის ოლქში შემავალი უბნებიდან შემოდიოდა.

მარკირების გაკეთებასა და შემოწმებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა პოტენციურად, შესაძლებელი გახადა განმეორებითი ხმის მიცემა, რაც კონკრეტული პარტიის სასარგებლოდ ხმების ხელოვნურად გაზრდის მთავარი მეთოდია.<sup>137</sup>

#### 6.4. კენჭისყრის დღეს საარჩევნო სუბიექტებზე, მედიასა და დამკვირვებლებზე თავდასხმების ფაქტები

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღეს ხშირი იყო ოპოზიციურ პარტიების წარმომადგენლების, ჟურნალისტებისა და დამკვირვებლების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების, ხელის შეშლისა და ზეწოლის ფაქტები:

- N32 გორის საარჩევნო ოლქის მე-14 საარჩევნო უბანზე სამოქალაქო აქტივისტებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს თავს მმართველი პარტიის „ზონდერები“ დაესხნენ. სამოქალაქო აქტივისტი თეონა ფანქველაშვილის განცხადებით, საარჩევნო უბანთან მერის წარმომადგენელი აგიტაციას ეწეოდა, რაზეც მას შენიშვნა მისცეს. სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია ფიზიკური დაპირისპირება.<sup>138</sup>
- N67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის მე-9 საარჩევნო უბანზე „კოალიცია ცვლილებისთვის“ წარმომადგენლის ოჯახის წევრებს თავს დაესხნენ. პარტიის წარმომადგენლის სალომე მელიას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე იყო პოლიცია, თავდასხმის ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია.<sup>139</sup>
- N5 ისნის საარჩევნო ოლქის მე-9 საარჩევნო უბანზე „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს მარიამ დოლიძეს თავს დაესხნენ. დოლიძემ განაცხადა,

<sup>136</sup> იქვე. მუხლი 64, ნაწილი 4.

<sup>137</sup> სამართლიანი არჩევნების, ჩემი ხმისა და საიას ერთობლივი შეფასება - 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, 19 ნოემბერი, 2024. იხ. <https://transparency.ge/ge/post/samartliani-archevnebis-chemi-xmisa-da-saias-ertoblivi-shepaseba-26-oktombris-saparlameto>

<sup>138</sup> mtavari.tv, „გორში, მე-14 საუბნო საარჩევნო კომისიასთან აქტივისტებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს თავს დაესხნენ“, იხ. <https://mtavari.tv/news/168111-gorshi-me-14-saubno-saarchevno-komisiastan>

<sup>139</sup> mtavari.tv, „ზუგდიდში მე-9 უბანზე „კოალიცია ცვლილებისთვის“ წარმომადგენლის ოჯახის წევრებს დაესხნენ თავს“, იხ. <https://mtavari.tv/news/168117-zugdidshi-me-9-ubanze-koalitsia-tsvlilebistvis>

რომ უბანთან მობილიზებულმა „ძველმა ბიჭებმა“ მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.<sup>140</sup>

- N22 მარნეულის საარჩევნო ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგიონული ოფისის თავმჯდომარეს აზად ქარიმოვს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ქარიმოვის განაცხადებით, თავდამსხმელები მმართველი გუნდის „ზონდერები“ იყვნენ.<sup>141</sup>
- 26 ოქტომბერს თბილისში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები ენმ-ის ოფისში შეიჭრნენ.<sup>142</sup>
- ზუგდიდში „კოალიცია ცვლილებისთვის“ ოფისს თავს მმართველი პარტიის მხარდამჭერები დაესხნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ეზოში მყოფ ახალგაზრდებს ქვები დაუშინეს.<sup>143</sup>

საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა და მათი ოფისების გარდა, თავდასხმის მსხვერპლი გახდნენ დამკვირვებლები და საარჩევნო უბნებზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. დემოკრატიის კვლევის ცენტრმა მონიტორინგის შედეგად შემდეგი შემთხვევები აღწერა:

- N67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის მე-9 საარჩევნო უბანზე ხმების გადათვლის პროცესს ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ, რადგან ისინი უბნიდან გააძევეს. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, ამ საარჩევნო უბანზე ყველა ბიულეტენი, რომელიც სავარაუდოდ ოპოზიციის ხმად უნდა ჩათვლილიყო, ბათილად ცნეს.<sup>144</sup>
- N5 ისნის საარჩევნო ოლქის მე-9 საარჩევნო უბანზე მმართველი გუნდის მხარდამჭერებმა დამკვირვებელს შუშის ბოთლი ესროლეს.<sup>145</sup>
- N79 ბათუმის საარჩევნო ოლქის მე-2 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიამ ხმათა უმრავლესობით, ოპოზიციის წარმომადგენელი კენჭისყრის შენობიდან გააძევა. გაძევების საფუძველი პარტიის წარმომადგენლის მხრიდან საარჩევნო უბანზე დარღვევების დაფიქსირება გახდა.<sup>146</sup>
- N10 გლდანის საარჩევნო ოლქის მე-60 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შენობაში ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. „რადიო თავისუფლების“ მიერ გავრცელებულ

<sup>140</sup> publika.ge, „ისანში „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს მარიამ დოლიძეს სცემეს“, იხ.

<https://publika.ge/isanshi-ertianoba-nacionaluri-modzraobis-warmomadgenels-mariam-dolidzes-scemes/>

<sup>141</sup> publika.ge, „მარნეულში საარჩევნო უბანზე ენმ-ის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს სცემეს“, იხ.

<https://publika.ge/marneulshi-saarchevno-enm-is-regionuli-organizaciis-tavmjdomares-scemes/>

<sup>142</sup> radiotavisupleba.ge, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მათ

ოფისში შეიჭრნენ“, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33174409.html>

<sup>143</sup> mtavari.tv, „ზუგდიდში, „კოალიცია ცვლილებისთვის“ ოფისს „ოცნების“ მხარდამჭერები თავს დაესხნენ“, იხ.

<https://mtavari.tv/news/168170-zugdidshi-koalitsia-tsvlilebistvis-opiss-otsnebis>

<sup>144</sup> mtavari.tv, „ხმების დათვლისას, ზუგდიდის მე-9 უბნიდან ოპოზიციის დამკვირვებლები გააძევეს |

გაბათილებულია ოპოზიციური ბიულეტენების უმრავლესობა“, იხ.

<https://mtavari.tv/news/168168-khmebis-datvlisas-zugdidis-me-9-ubnidan>

<sup>145</sup> mtavari.tv, „მალადობა სუს-ის მართული „ქუჩის ბიჭებისგან“ ისანში დამკვირვებელს შუშის ბოთლი ესროლეს,

კადრებში ჩანს დანაც“, იხ.

<https://mtavari.tv/news/168097-dzaladoba-sus-martuli-kuchis-bichebisgan-isanshi>

<sup>146</sup> mtavari.tv, „დარღვევების დაფიქსირების შემდეგ, ბათუმის მე-2 საარჩევნო უბნიდან თავმჯდომარემ ოპოზიციის დამკვირვებელი გააძევა“, იხ.

<https://mtavari.tv/news/168074-darghvevebis-dapiksirebis-shemdeg-batumis-me-2>

ვიდეოში ჩანს, როგორ უსწორდება რამდენიმე ახალგაზრდა ერთ-ერთ დამკვირვებელს.<sup>147</sup>

- N67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის მე-9 საარჩევნო უბნიდან ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლები გააძევეს.<sup>148</sup>
- N22 მარნეულის საარჩევნო ოლქის მე-4 საარჩევნო უბანზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებელს თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ საუბნო კომისიის წევრი და კენჭისყრის შენობის გარეთ მდგომი უცნობი პირი.<sup>149</sup>
- N10 გლდანის საარჩევნო ოლქის მე-60 საარჩევნო უბანზე, სავარაუდოდ, მმართველ პარტიასთან დაკავშირებული პირი შაკო კუჭაშვილი, სხვა პირებთან ერთად დამკვირვებლებს დაუპირისპირდა.<sup>150</sup> გავრცელებული ინფორმაციით, ადგილზე ვითარება საარჩევნო უბანზე „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი წარმომადგენლის ირაკლი ემგვერამის მისვლის შემდეგ დაიძაბა. დაპირისპირება 10 წუთზე მეტხანს მიმდინარეობდა, რა დროსაც უბანზე ხმის მიცემის პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერებული იყო.
- N18 ახმეტის საარჩევნო ოლქის მე-11 საარჩევნო უბანზე დამკვირვებელსა და ჟურნალისტს გელა მთივლიშვილს თავს დაესხნენ. თავდასხმა მას შემდეგ მოხდა, რაც მთივლიშვილმა საარჩევნო უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ „ქართული ოცნების“ კოორდინატორებს ტერიტორიის დატოვებისკენ მიუთითა.<sup>151</sup>

არჩევნების დღეს ადგილი ჰქონდა ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებს:

- N17 თელავის საარჩევნო ოლქის მე-16 საარჩევნო უბანზე ყოფნისას, „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფს თავს მას შემდეგ დაესხნენ, რაც, ჟურნალისტის განცხადებით, საარჩევნო უბანზე სიებით მდგარი კოორდინატორების გადაღება დაიწყო, რომლებიც მხარდამჭერებს აღნუსხავდნენ.<sup>152</sup>
- N20 რუსთავის საარჩევნო ოლქის 33-ე საარჩევნო უბანზე „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტს პროფესიულ საქმიანობაში ხელი შეუშალეს. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმა მოჰყვა „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტის მცდელობას, დაეფიქსირებინა უბნის მიმდებარედ მყოფი პირები, რომლებიც, სავარაუდოდ, უბანზე მისულ ამომრჩევლებს აღრიცხავდნენ. რეპორტიორს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და მისთვის ტელეფონის წართმევა სცადეს.<sup>153</sup>

<sup>147</sup> radiotavisupleba.ge, „ფიზიკური დაპირისპირება იყო გლდანის მე-60 საარჩევნო უბანზე“, იხ.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/33174334.html>

<sup>148</sup> radiotavisupleba.ge, „ზუგდიდის მე-9 საარჩევნო უბანზე მორიგი დაპირისპირება იყო“, იხ.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/33174231.html>

<sup>149</sup> publika.ge, „საია: ჩვენს დამკვირვებელს, გიორგი გოცირიძეს მარნეულში თავს დაესხნენ“, იხ.

<https://publika.ge/saia-chvens-damkvirvels-giorgi-gociridzes-marneulshi-tavs-daeskhnen/>

<sup>150</sup> netgazeti.ge, „ფიზიკური დაპირისპირება გლდანში მე-60 უბანთან შაკო კუჭაშვილის ჩართულობით“, იხ.

<https://netgazeti.ge/news/748485/>

<sup>151</sup> netgazeti.ge, „მატნის მე-11 უბანში თავს დაგვესხნენ“ – გელა მთივლიშვილი, იხ.

<https://netgazeti.ge/news/748478/>

<sup>152</sup> publika.ge, „ტვ პირველი“: ქვედა ხოდაშენში, მე-16 საარჩევნო უბანზე ჩვენს გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ, დაზიანებულია აპარატურა“, იხ.

<https://publika.ge/tv-pirveli-qveda-khodasenshi-me-16-saarchevno-ubanze-yofnisas-chvens-gadamgheb/>

<sup>153</sup> radiotavisupleba.ge, „რუსთავში რადიო თავისუფლების ჟურნალისტს ხელი შეუშალეს საქმიანობაში“, იხ.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/33174211.html>

- N79 ბათუმის საარჩევნო ოლქის მე-17 საარჩევნო უბანზე ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მმართველი გუნდის კოორდინატორის გაღიზიანება ჟურნალისტის კითხვამ გამოიწვია. ის საარჩევნო უბანთან მდგარ სამარშრუტო ტაქსიში მსხდომი ადამიანების ვინაობით დაინტერესდა.<sup>154</sup>
- N5 ისნის საარჩევნო ოლქის 30-ე საარჩევნო უბნის კენჭისყრის შენობასთან, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირები ამომრჩევლებს „ქართული ოცნების“ საარჩევნო ნომრის გაფერადებისკენ მოუწოდებდნენ. ამასთან, ისინი ოპოზიციის ამომრჩევლებს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ისინი დაემუქრნენ და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ჟურნალისტებსაც.<sup>155</sup>

## 6.5. სხვა შემთხვევები

გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, კენჭისყრის დღეს არაერთ უბანზე დაფიქსირდა: დამკვირვებლისთვის ორი ბიულეტენის მიცემის; ძველი ან/და დაზიანებული (გატეხილი) პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით ხმის მიცემის (ამ დროს, ვერიფიკაციის აპარატებში მონაცემები ხელით შეჰყავდათ); კენჭისყრის შენობასთან ამომრჩევლებისთვის მცირე ზომის ფურცლების დარიგების ფაქტები, სადაც რამდენიმე ციფრი ეწერა (დამკვირვებლების ინფორმაციით, ფურცლებზე მითითებული იყო იმ ადამიანების პირადი ნომრები, ვინც არჩევნებზე არ მიდიოდა).<sup>156</sup> ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია, ვერიფიკაციის აპარატების მწყობრიდან გამოსვლის ფაქტები. მაგალითად, რუსთავის ოლქში შემავალ უბნებზე მასიურად დაფიქსირდა რამდენიმე აპარატიდან ერთი აპარატის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევები. რამდენიმე შემთხვევაში, ბიულეტენებს არ იღებდა ძირითადი საარჩევნო ყუთი და უკან დაბრუნების შემთხვევაში, როგორც წესი, ირღვეოდა ხმის ფარულობა.

## 7. პოლიტიკური პარტიების შემოწირულობები

### 7.1. საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ორ წყაროს: პირდაპირ საბიუჯეტო დაფინანსებას და შემოწირულობებს. შემოწირულობები საარჩევნო წელს, როგორც წესი, მნიშვნელოვნად იზრდება და მათი დიდი წილი მმართველი პარტიის დაფინანსებას ხმარდება. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება რეგულირდება „მოქალაქეთა

<sup>154</sup> mtavari.tv, „ინციდენტი ბათუმში | „ოცნების“ კოორდინატორი მედიის წარმომადგენლებს სიტყვიერად დაუპირისპირდა“, იხ.

<https://mtavari.tv/news/168112-intsidenti-batumshi-otsnebis-koordinatori-mediis>

<sup>155</sup> mtavari.tv, „ახლა დაგარბევთ“ | ისანში, სავარაუდოდ არაფხიზელი პირები "ოცნების" გაფერადებას ითხოვენ და ჟურნალისტებს ემუქრებიან“, იხ.

<https://mtavari.tv/news/168090-akhla-dagarbevt-isanshi-savaraudod-arapkhizeli>

<sup>156</sup> კუბლიკა, იხ. <https://www.instagram.com/publika.ge/reel/DB6bVdVs1tX/>

პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონით, საარჩევნო კოდექსითა და სხვა ქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2023 წლის დეკემბერში პარლამენტმა ვენეციის კომისიისა და ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების მიზნით ცვლილებები შეიტანა „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“. კერძოდ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში“ განხორციელებული ცვლილებებით იურიდიულ პირებს პარტიების დაფინანსება აკრძალა. ამავე ცვლილების მიხედვით, პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა არ შეიძლება იყოს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.04%-ზე მეტი.<sup>157</sup> თუმცა ცვლილებები არ შეხება პარტიის მიერ საქართველოს მოქალაქისგან წლის განმავლობაში მიღებულ შემოწირულებათა საერთო ოდენობის ზედა ზღვარს (60,000 ლარი).<sup>158</sup>

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოქვეყნებული შუალედური შეფასების მიხედვით საქართველომ 2023 წელს პარტიების შემოწირულებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო.<sup>159</sup> თუმცა პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან/შემოწირულებასთან დაკავშირებით ეუთო/ოდირის და ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO) რეკომენდაციები კვლავ შეუსრულებელი დარჩა.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პოლიტიკურ შემოწირულებებზე შეზღუდვების დაწესებამ შეიძლება მსხვილ დონორებს შეუზღუდოს პოლიტიკურ პარტიებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ამასთან, კამპანიის ხარჯების შეზღუდვამ შეიძლება ხელი შეუწყოს ყველა პარტიისთვის თანაბარი, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.<sup>160</sup>

მიუხედავად იურიდიული პირების მხრიდან პოლიტიკური პარტიებისთვის ფულის შეწირვის აკრძალვისა, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით შემომწირველთა უმეტესობა ფიზიკური პირია, რომელთა ნაწილი დაკავშირებულია იურიდიულ პირებთან. მაგალითისთვის, სახელისუფლებო პარტიას შემომწირველთა სიაში ხშირად არიან ადამიანები, ვინც რეალურად ამა თუ იმ კომპანიას წარმოადგენენ. ამასთან, როგორც წესი, შეწირული თანხის საპირწონედ შემომწირველები სახელმწიფოსგან სარგებელს იღებენ. მაგალითად, ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული იურიდიული პირები იღებენ სარგებელს სახელმწიფოსგან კონტრაქტების, შეღავათების, ქონების სახით. წინამდებარე ანგარიშში მოცემულია რამდენიმე ფაქტი, სადაც ნათლად ჩანს, როგორ სარგებლობენ ფიზიკური პირები მმართველი პარტიისთვის შეწირული თანხის სანაცვლოდ.

ამასთან, პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობის მშპ-ს 0.04%-იანი ზღვრის დაწესება შეიძლება შეფასდეს ფორმალურ დანაწესად. ამგვარი ჩანაწერი

<sup>157</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 29.12.2023, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6003219?publication=0#DOCUMENT:1>

<sup>158</sup> საქართველოს ორგანული კანონი, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლი 27, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=44>

<sup>159</sup> INTERNATIONAL ELECTION OBSERVATION MISSION Georgia – Parliamentary Elections, 26 October 2024, STATEMENT OF PRELIMINARY FINDINGS AND CONCLUSIONS PRELIMINARY CONCLUSIONS, p. 12 <https://www.osce.org/files/f/documents/3/0/579346.pdf>

<sup>160</sup> Guilherme France, Matthew Jenkins and Jorge Valladares, Transparency International Date: 21 November 2023, p. 4, [https://knowledgehub.transparency.org/assets/uploads/helpdesk/Limits-on-political-donations\\_global-practice-and-effectiveness\\_final.pdf](https://knowledgehub.transparency.org/assets/uploads/helpdesk/Limits-on-political-donations_global-practice-and-effectiveness_final.pdf)



შესაძლებლობას აძლევს პოლიტიკურ პარტიებს, წლის განმავლობაში დაახლოებით 30 მილიონი ლარი დახარჯონ. პოლიტიკური პარტიების მიერ **დეკლარირებულად** დახარჯული თანხის ოდენობას არცერთ შემთხვევაში არ მიუღწევია 30 მილიონი ლარისთვის. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების სრულყოფილად შესასრულებლად აუცილებელია, შემცირდეს წლიური ხარჯების ზედა ზღვარი.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პრაქტიკაში სათანადოდ აღსრულებისთვის, აუცილებელია ეფექტიანი ზედამხედველობა. 2022 წლის ბოლოს ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე შექმნილ ანტიკორუფციულ ბიუროს, სხვა ფუნქციებთან ერთად, პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის ფუნქციაც დაეკისრა. ამ უფლებამოსილების განხორციელებას უწყება 2023 წლის 1-ელი სექტემბრიდან შეუდგა. საერთაშორისო პარტნიორების შესაბამისი რეკომენდაციების მიუხედავად, გამოძიების ფუნქცია აუდიტის სამსახურის მსგავსად, არც ანტიკორუფციულ ბიუროს აქვს.

2024 წლის 9 ივლისს ევროსაბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) შეფასების მეხუთე რაუნდის ფარგლებში გამოქვეყნებულ ანგარიშში პარტიების ფინანსების მონიტორინგის მანდატით აღჭურვილ ახლად შექმნილ ანტიკორუფციულ ბიუროზეც საუბრობს. დოკუმენტის მიხედვით, ძნელია შეფასდეს პარტიების დაფინანსების ზედამხედველობის ხარისხი, რადგან უწყება ახალი შექმნილია, თუმცა მის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობს.<sup>161</sup> ამასთან, უწყება არ არის აღჭურვილი საგამოძიებო მანდატით.

ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობა პოლიტიკური პარტიების ფინანსების მონიტორინგის ნაწილში ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიამ საბოლოო ანგარიშში მკაცრად გააკრიტიკა. ანგარიშის მიხედვით ბიურო სამართლებრივ ნორმებს შერჩევით და არათანმიმდევრულად იყენებდა და არსებობდა ეჭვები მის საქმიანობაში პოლიტიკურ ჩარევასთან დაკავშირებით.<sup>162</sup>

## 7.2. პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო შემოწირულებები

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის [ინფორმაციით](#), საპარლამენტო არჩევნებისათვის რეგისტრირებული იყო 27 საარჩევნო სუბიექტი. მოცემული პოლიტიკური გაერთიანებებიდან ხუთპროცენტის ბარიერი გადალახა ხუთმა პარტიამ. ესენია:

1. „ქართული ოცნება“;
2. „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“;
3. „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;
4. „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“;
5. „გახარია - საქართველოსთვის“.

<sup>161</sup> 2024 წლის 9 ივლისს ევროსაბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) შეფასების მეხუთე რაუნდის ფარგლებში გამოქვეყნებული ანგარიში, პარ. 69. იხ. <https://rm.coe.int/cinquieme-cycle-d-evaluation-prevention-de-la-corruption-et-promotion-/1680b0d356>

<sup>162</sup> OSCE/ODIHR, Georgia, parliamentary Elections, 26 October 2024, ODIHR Election Observation Mission Final Report, გვ.4, ხელმისაწვდომია [https://www.osce.org/files/f/documents/1/6/584029\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/1/6/584029_0.pdf)

დემოკრატიის კვლევის ცენტრმა შეისწავლა იმ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შემოწირულებებისა და შემომწირველების საკითხი, რომლებმაც 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხუთპროცენტის ბარიერი გადალახეს. მონიტორინგი მიმდინარეობდა 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ხუთი პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ჯამური დაფინანსება **41 მილიონ-ნახევარ ლარს აღემატება, აქედან 16 მილიონ ლარზე მეტი „ქართულ ოცნებისთვის“ შეწირული თანხაა** - ხუთი პოლიტიკური პარტიიდან ყველაზე მეტი ფულადი შემოწირულება მმართველმა პარტიამ მიიღო.

„ქართული ოცნების“ ყველაზე მსხვილი შემომწირველები, ერთი მხრივ, არიან ის პირები, ვინც 2012 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მილიონობით ლარს იღებს, ან საზოგადოებისთვის სრულიად უცხო ადამიანები, რომელთა უმეტესობას შეწირული მსხვილი თანხების მიუხედავად, უძრავი ქონებაც კი არ აქვს.

იმ პოლიტიკური გაერთიანებების შემოწირულებები, რომლებმაც 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხუთპროცენტის ბარიერი გადალახეს:

პოლიტიკური გაერთიანება	შეწირული თანხა (ლარებში)
„ქართული ოცნება“	16,150,527.00
„კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“	10,980,465.00
„ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“	9,894,747.00
„ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“	3,091,573.00
„გახარია- საქართველოსთვის“	441,909.00

**პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“**

2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით „ქართულ ოცნებას“ **298-მა ფიზიკურმა პირმა** შესწირა ფული. 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის მმართველ პარტიას **114 ახალი შემომწირველი ჰყავდა**, რომლებმაც „ქართულ ოცნებას“ ფული პირველად შესწირეს. საჯარო რეესტრში ახალი შემომწირველების მონაცემების გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ არცერთი მათგანი არ ფლობს უძრავ ქონებას.

უფრო მეტიც, „ქართული ოცნების“ შემომწირველი **298 ფიზიკური პირიდან 162 უძრავ ქონებას არ ფლობს**. თითოეული მათგანი კი მმართველ პარტიას საშუალოდ **10.000 ლარზე მეტს** სწირავს.

რაც შეეხება შემოწირულებების დინამიკას, კენჭისყრის დღემდე ბოლო თვეების განმავლობაში<sup>163</sup> პარტიისთვის შეწირული თანხის რაოდენობა თვიდან თვემდე ორმაგდებოდა. მაგალითად, თუ 2024 წლის ივლისში შეწირული დეკლარირებული თანხის

<sup>163</sup> იგულისხმება 1-ელი ივნისი - 25 ოქტომბრის მონაკვეთი.

ჯამი 2 მილიონ ლარს აღემატებოდა, აგვისტოს თვეში თანხა 4 მილიონამდე გაიზარდა, სექტემბერში კი - 6 მილიონამდე.

**შეწირული თანხის რაოდენობა თვეების მიხედვით:**

თვეები	შეწირული თანხა (ლარებში)	შემოწირულება
იანვარი	97.000	4
თებერვალი	191.000	9
მარტი	159.030	10
აპრილი	372.176	12
მაისი	154.000	5
ივნისი	435.000	15
ივლისი	2.873.000	73
აგვისტო	4.088.150	136
სექტემბერი	6.093.360	162
ოქტომბერი	2.542.611	85
ნოემბერი	95.000	4
დეკემბერი	50.200	3

„ქართული ოცნების“ შემომწირველთა სიაში **ბიზნესმენების სახელები და გვარები ფიგურირებს**. მმართველი გუნდის ყველაზე მსხვილ შემომწირველებს შორის არიან ბიზნესმენები დავით დევამე და ოთარ ფუტკარაძე. საჯარო რეესტრში მათი მონაცემების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ისინი საერთო კომპანიის შპს „ბონდი-2009“-ის თანამფლობელებიც არიან.<sup>164</sup> **დავით დევამეს** 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ქართული ოცნებისთვის“ 60.000 ლარი აქვს შეწირული,<sup>165</sup> ხოლო **ოთარ ფუტკარაძეს** - 37.000 ლარი. ოთარ ფუტკარაძე „ქართული ოცნების“ დიდი ხნის დამფინანსებელია. ჯამში, მას „ქართული ოცნებისთვის“ 147,000 ლარი აქვს შეწირული 2021 წლიდან დღემდე.<sup>166</sup>

ამ კომპანიას 2012 წლიდან დღემდე **35 მილიონი ლარის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ტენდერები აქვს მოგებული**.<sup>167</sup>

შემომწირველებს შორის ფიგურირებს ბიზნესმენ **აბესალომ თავბერიძის** სახელი და გვარი. მან მმართველ გუნდს 60.000 ლარი შესწირა. <sup>168</sup> თავბერიძე სამშენებლო კომპანიის, შპს

<sup>164</sup> შპს „ბონდი-2009“-ის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხელმისაწვდომია: <https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFPbRxNP9sYbXXdXWmXEmlQIX7WFB8pxFXh5GgNztqbrB>

<sup>165</sup> დავით დევამის შემოწირულება „ქართულ ოცნებას“, ხელმისაწვდომია: <https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?l=0&n=%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%20%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94&y=2024>

<sup>166</sup> ოთარ ფუტკარაძის შემოწირულება „ქართულ ოცნებას“, ხელმისაწვდომია: <https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=61006009664>

<sup>167</sup> ივნისში კომპანია „ბონდი-2009“-ის მფლობელებმა „ქართულ ოცნებას“ 100 000 ლარი შესწირეს, კომპანიამ 35 მილიონი ლარის ტენდერი მოიგო - TI“, მთავარი არხი, 1 აგვისტო 2023 წელი, ხელმისაწვდომია: <https://mtavari.tv/news/131642-ivnisshi-kompania-bondi-2009-mplobelebma-otsnebas>

<sup>168</sup> აბესალომ თავბერიძის შემოწირულება „ქართულ ოცნებას“, ხელმისაწვდომია: <https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?l=0&i=01008013683&y=2024>

„ბალავარის“ მფლობელია.<sup>169</sup> **სამშენებლო კომპანია აქტიურად აწარმოებს მშენებლობებს თბილისის სხვადასხვა უბანში.**<sup>170</sup>

„ქართული ოცნების“ ყველაზე მსხვილ შემომწირველებს შორისაა სერგო ხაბულიანი.<sup>171</sup> 2024 წლის განმავლობაში მას 50.000 ლარი აქვს შეწირული „ქართული ოცნებისთვის“. ხაბულიანი შპს „ცეკურის“<sup>172</sup> თანამფლობელია. **2024 წელს ამ კომპანიამ მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული 374,241.00 ლარის ღირებულების ტენდერი მოიგო.** ტენდერის დოკუმენტაციის თანახმად, კომპანიას სამშენებლო სამუშაოების ჩატარება ევალებოდა. საერთო ჯამში, 2012 წლიდან დღემდე, კომპანიას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ტენდერებში **65 მილიონ ლარზე მეტი აქვს მიღებული.**

შემომწირველებს შორისაა ბიზნესმენი **ვაჟა ციგროშვილიც.** მას „ქართული ოცნებისთვის“ თანხა რვაჯერ აქვს შეწირული. პირველად ბიზნესმენმა პარტიას თანხა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ შესწირა.<sup>173</sup> წლების განმავლობაში შეწირული თანხის საერთო ჯამი **271.000 ლარია.** 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შეწირული თანხა კი **24.000 ლარი.** საჯარო რეესტრში ციგროშვილის სახელზე შვიდი კომპანიაა რეგისტრირებული. **ციგროშვილი ორმაგ მოქალაქეობას ფლობს - ის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეცაა.** ბიზნესმენი კომპანია შპს „სტორის“ 90%-იანი წილის მფლობელია. ეს კომპანია კახეთში „სტორი 1 ჰეს“ აშენებს. „სტორი 1 ჰესის“ მშენებლობა 2019 წელს დაიწყო.<sup>174</sup>

ვაჟა ციგროშვილის ერთ-ერთი ბიზნესპარტნიორი, შპს „სტორის“ ერთ-ერთი თანამფლობელი, **ბექან ანუაშვილი** მმართველი გუნდის კიდევ ერთი შემომწირველია. 2016 წლიდან დღემდე მან პარტიას თანხა ოთხჯერ შესწირა. შეწირული თანხის ჯამი 45.000 ლარია.<sup>175</sup>

**შემომწირველებს შორის ასევე ფიგურირებს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილის, რატი გედიანიძის ბიზნესპარტნიორის კარპეზი შუკაკიძის სახელი და გვარი.**<sup>176</sup> მან მმართველ გუნდს 20.000 ლარი შესწირა.<sup>177</sup> შპს „ჯეო მედი“<sup>178</sup> ის კომპანიაა, რომლის თანამფლობელები შუკაკიძე და გედიანიძეც არიან. შპს „ჯეო მედი“ აქტიურად იღებს ტენდერებში მონაწილეობას. **მის მიერ მოგებული ტენდერების საერთო ღირებულების ჯამი ორ მილიონ ლარს აღემატება.**

<sup>169</sup> შპს „ბალავარი ლისის“ **ამონაწერი** საჯარო რეესტრიდან.

<sup>170</sup> შპს „ბალავარის“ ფეისბუკგვერდი <https://www.facebook.com/balavaridevelopment>

<sup>171</sup> სერგო ხაბულიანის **შემოწირულება** „ქართულ ოცნებას“, ხელმისაწვდომია ანტიკორუფციული ბიუროს ვებგვერდზე <https://monitoring.acb.gov.ge/ka>

<sup>172</sup> შპს „ცეკურის“ **ამონაწერი** საჯარო რეესტრიდან.

<sup>173</sup> ვაჟა ციგროშვილის **შემოწირულება**, ხელმისაწვდომია ანტიკორუფციული ბიუროს ვებგვერდზე <https://monitoring.acb.gov.ge/ka>

<sup>174</sup> შპს „სტორის“ **ამონაწერი** საჯარო რეესტრიდან.

<sup>175</sup> ბექან ანუაშვილის **შემოწირულება**, ხელმისაწვდომია ანტიკორუფციული ბიუროს ვებგვერდზე <https://monitoring.acb.gov.ge/ka>

<sup>176</sup> რატი გედიანიძის დეკლარაცია, ხელმისაწვდომია:

<https://declaration.acb.gov.ge/Home/DownloadPdf/156738>

<sup>177</sup> კარპეზი შუკაკიძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?!=0&i=35001022099&y=2024>

<sup>178</sup> შპს „ჯეო მედის“ **ამონაწერი** საჯარო რეესტრიდან, ხელმისაწვდომია:

<https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFMb4O8UgMa90LlaSscWbwfmH%5bSOVTFaD9u54U7GVMBLE>

კვლევისას აღმოვაჩინეთ, რომ შემომწირველებს შორის ფიგურირებენ ყოფილი და ამჟამინდელი მაღალჩინოსნები და მათთან დაახლოებული პირები:

სახელი და გვარი	შეწირული თანხის რაოდენობა (ლარებში)
კახა კალაძე - თბილისის მერი <sup>179</sup>	12.000
მიხეილ ბუზალაძე - <a href="#">თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს უფროსის მოადგილე (ყოფილი)</a> <sup>180</sup>	60.000
თამაზ თამაზაშვილი - „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი <sup>181</sup>	10.000

მმართველი გუნდის ერთ-ერთი შემომწირველია [კახაბერ ივანიძე](#).<sup>182</sup> „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, ანი წითლიძის განცხადებით, კახაბერ ივანიძემ „ქართული ოცნების“ სენაკის შტაბის ხელმძღვანელთან, გია ადამიასთან ერთად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ვახტანგ წურწუმისას მოსყიდვა სცადა, რის შემდეგაც წურწუმია რამდენიმე დღით გაუჩინარდა, შემდგომ კი სენაკის საკრებულოში უფლებამოსილება შეიჭერა.<sup>183</sup> ივანიძემ „ქართულ ოცნებას“ 30.700 ლარი შესწირა, საჯარო რეესტრის მიხედვით, ის უძრავ ქონებას არ ფლობს.

### პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის ძალა“

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური დაჯგუფების, „ხალხის ძალის“ ხუთი წევრი<sup>184</sup> „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის პირველივე ათეულში ფიგურირებდა.<sup>185</sup> დემოკრატიის კვლევის ცენტრმა შეისწავლა პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის“ მიერ მიღებული შემოწირულებები. კვლევა 2024 წლის 1-ელი აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა.

<sup>179</sup> კახა კალაძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?!=0&i=01010001112&y=2024>

<sup>180</sup> მიხეილ ბუზალაძის შემოწირულება „ქართულ ოცნებას“, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=54001011873>

<sup>181</sup> თამაზ თამაზაშვილის შემოწირულება „ქართულ ოცნებას“, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?!=0&i=14001001035&y=2024>

<sup>182</sup> კახაბერ ივანიძის შემოწირულება „ქართულ ოცნებას“, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=39001010120>

<sup>183</sup> „ანი წითლიძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობიდან“ სენაკის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი ვახო წურწუმია უკვე რამდენიმე დღეა, არ გამოჩენილა“, interpressnews.ge, 1 ივნისი 2022 წელი, ხელმისაწვდომია:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/713274-ani-citlizis-gancxadebit-nacionaluri-mozraobidan-senakis-sakrebulo-mazhoritari-cevri-vaxo-curcumia-ukve-ramdenime-dgea-ar-gamochenila/>

<sup>184</sup> სოზარ სუბარი, მიხეილ ყაველაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, ეკა სეფიაშვილი და ვიქტორ ჯაფარიძე.

<sup>185</sup> radiotavisupleba.ge, 16 ივლისი, 2024 წ., „საპარლამენტო არჩევნებზე „ხალხის ძალა“ „ქართული ოცნების“ სიაში იქნება“, ხელმისაწვდომია:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/33038882.html>

პირველი შემოწირულება ფსევდოპოზიციურმა ძალამ 2024 წლის 11 აპრილს მიიღო. „ხალხის ძალამ“ თერთმეტი შემოწირულება მიიღო რვა ფიზიკური პირისგან. შემოწირულების სახით მიღებული, ოფიციალურად დეკლარირებული თანხის ჯამი **161.750 ლარია.**

**პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის ძალის“ შემოწირულებები თვეების მიხედვით:**

თვეები	შეწირული თანხა
აპრილი	70.000
მაისი	18.000
ივნისი	0
ივლისი	22.000
აგვისტო	0
სექტემბერი	13.000
ოქტომბერი	15.750
ნოემბერი	10.000
დეკემბერი	13.000

დემოკრატიის კვლევის ცენტმა შეისწავლა „ხალხის ძალის“ თითოეული შემომწირველი. ყველაზე მსხვილი შემომწირველი პარლამენტის წევრი ვიქტორ ჯაფარიძეა. მის მიერ „ხალხის ძალისთვის“ შეწირული თანხის ჯამი **38.000 ლარია.**<sup>186</sup> ჯაფარიძის სახელზე რამდენიმე კომპანიაა რეგისტრირებული, მათ შორის „შპს სეტი+“.<sup>187</sup> **ამ კომპანიამ 2012 წლიდან დღემდე 81 მილიონი ლარის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოცხადებული ტენდერი მოიგო.** ჯაფარიძე ასევე არის პროპაგანდისტული და ღიად სახელისუფლებო მედიასაშუალება POSTV („შპს პოსტვს“)<sup>188</sup> 52%-იანი წილის მფლობელი. ვიქტორ ჯაფარიძის სახელი და გვარი ასევე ფიგურირებს მმართველი გუნდის შემომწირველებს შორის. მან პარტიას ჯამში **120.000 ლარი** შესწირა.<sup>189</sup>

ფსევდოპოზიციური პარტიის შემომწირველთა სიაში ასევე იძებნება გურამ მაჭარაშვილის სახელი და გვარი. მაჭარაშვილი მმართველი გუნდის და „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერია. მას პარტიისთვის **1.000 ლარი** აქვს შეწირული.<sup>190</sup> იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრში მაჭარაშვილი „შპს გლობალექსის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელადაა რეგისტრირებული.<sup>191</sup> კომპანიის ერთ-ერთი მეწილის, **გიორგი ნოზაძის სახელი და გვარი**

<sup>186</sup> ვიქტორ ჯაფარიძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=01005003721>

<sup>187</sup> შპს „სეტი +“ ამონაწერი იურიდიული პირების საჯარო რეესტრიდან, ხელმისაწვდომია:

<https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFLPjN5uuQ9fL%5dineD5vI2Lye2eDklBalo5DE0kUkqbS2>

<sup>188</sup> მედიასაშუალება POSTV-ს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხელმისაწვდომია:

<https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFJspqAjzK0mBUZbAfBtaZtvR3TGmUgFbv5Veurl66QKC>

<sup>189</sup> ბოლო შემოწირულება 2017 წელს განხორციელდა.

<sup>190</sup> გურამ მაჭარაშვილის შემოწირულება ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=01026012414>

<sup>191</sup> „შპს გლობალექსის“ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხელმისაწვდომია:

<https://drive.google.com/file/d/1Z00Vn2xKjsKSndZu8D3gbK2DZd3oJ2zC/view?usp=sharing>

მმართველი გუნდის შემომწირველთა სიაშიც ფიგურირებს. ნოზაძეს „ქართული ოცნებისთვის“ 41.000 ლარი აქვს შეწირული.<sup>192</sup>

„ხალხის ძალის“ შემომწირველებს შორისაა ბიზნესმენი ზაზა ბაღდავაძე. ბაღდავაძეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ფული აქვს შეწირული როგორც „ქართული ოცნების“, ასევე „ხალხის ძალისთვისაც“.<sup>193</sup> „ქართული ოცნებისთვის“ შეწირული თანხის ჯამი 40.000 ლარია, ხოლო „ხალხის ძალისთვის“ - 13.000 ლარი. ბაღდავაძე სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანიის „შპს ევროცემენტის“ მფლობელია.<sup>194</sup> კიდევ ერთი პირი, რომელმაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ თანხა „ქართულ ოცნებას“ და „ხალხის ძალას“ შესწირა, ბექა ბაღდავაძეა. „ქართული ოცნებისთვის“ შეწირული თანხის ჯამი 20.000 ლარია, ხოლო ფსევდოოპოზიციური ძალისთვის - 13.000 ლარი.<sup>195</sup>

### პოლიტიკური გაერთიანება „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“

პოლიტიკურმა გაერთიანებამ „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი შემოწირულება მიიღო. გაერთიანების მიერ შემოწირულების სახით მიღებული თანხის ჯამი 10,980,465.00 ლარია. შემოწირულებების რაოდენობა კი 611-ია. შემოწირულებების საშუალო რაოდენობა 10.000 ლარს აღემატება.<sup>196</sup>

პარტიის შემომწირველები ძირითადად მისი წევრები არიან. მაგალითად, შემომწირველთა სიაში ფიგურირებს პარტიის წევრის, გიორგი იმედაშვილის სახელი და გვარი. მის მიერ კოალიციისთვის შეწირული თანხის ჯამი 60.000 ლარია.<sup>197</sup> გიორგი იმედაშვილი „შპს ქართლოუს ფროდაქშენის“ მფლობელია. კომპანიის თანამფლობელია „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, თინა ბოკუჩავას ქმარი კონსტანტინე იოსელიანი.<sup>198</sup> იმედაშვილი 2020 წლამდე პარტია „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველიც იყო. მან პარტიას 16.900 ლარი შესწირა.

<sup>192</sup> გიორგი ნოზაძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=008002971+>

<sup>193</sup> ზაზა ბაღდავაძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=60002011919>

<sup>194</sup> „შპს ევროცემენტის“ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან:

<https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFG3Y2V39IumDHgi0VqmTsoj0oAov4Ca8eiwICSAjagzg>

<sup>195</sup> ბექა ბაღდავაძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=01024075725>

<sup>196</sup> 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

<sup>197</sup> გიორგი იმედაშვილის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=01008055452>

<sup>198</sup> შპს „ქართლოუს ფროდაქშენის“ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხელმისაწვდომია:

[https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFNaUXVWlWiyZNW045W\[JH8gtVEyn3xtVyhNAO1THYGnd](https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFNaUXVWlWiyZNW045W[JH8gtVEyn3xtVyhNAO1THYGnd)

კიდევ ერთი მსხვილი შემომწირველი, რომელიც პარალელურად **პარტიის წევრიცაა, მანუჩარ ჩაჩანიძეა**. ჩაჩანიძემ გაერთიანებას **60.000** ლარი შესწირა. მის სახელზე იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრში რამდენიმე კომპანიაა რეგისტრირებული.<sup>199</sup>

შემომწირველებს შორის ფიგურირებს მარიამ ხმაღაძის სახელი და გვარი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის, „შემდეგი ნაბიჯი - თავისუფლება“ წევრია. მის სახელზე საჯარო რეესტრში **არცერთი კომპანია არ არის რეგისტრირებული**.<sup>200</sup> შემოწირულებათა ჯამი **60.000** ლარია.<sup>201</sup>

## პოლიტიკური გაერთიანება „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“

პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით **9,894,747.00** ლარის შემოწირულება მიიღო. ჯამში გაერთიანებამ შემოწირულება **431**-ჯერ მიიღო.

პოლიტიკური პარტიის „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ ძირითადი შემომწირველები პარტიის წევრები და ბიზნესმენები არიან.

პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამფინანსებელი მამუკა ხაზარაძეა. ხაზარაძე ცნობილი ბიზნესმენი და პოლიტიკური პარტია „ლელოს“ **ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერია**. მის მიერ გაერთიანებისთვის შეწირული თანხის ოდენობა 2024 წლის განმავლობაში **60.000** ლარია. დაფუძნების დღიდან დღემდე ხაზარაძემ პარტიას ჯამში **218.000** ლარი შესწირა.<sup>202</sup>

გაერთიანების კიდევ ერთი მსხვილი შემომწირველია პოლიტიკური პარტია „ლელოს“ კიდევ ერთი ლიდერი - ბადრი ჯაფარიძე. 2024 წლის განმავლობაში მან გაერთიანებას შემოწირულების სახით **60.000 ლარი გადაურიცხა**. ჯამში ჯაფარიძემ პარტიას **240.000 ლარი შესწირა**.<sup>203</sup>

მსხვილ შემომწირველებს შორის ფიგურირებს ნოდარ დევიძის სახელი და გვარი. მან პარტიას **60.000** ლარი შესწირა. საჯარო რეესტრში მის სახელზე ოთხი კომპანიაა რეგისტრირებული.<sup>204</sup> შემომწირველთა შორისაა მიხეილ ქვლივიძე. ქვლივიძე ტურისტული კომპანია „მპს თრეველ

<sup>199</sup> მანუჩარ ჩაჩანიძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=47001011046>

<sup>200</sup> „შემდეგი ნაბიჯი - თავისუფლება“ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხელმისაწვდომია:

<https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFGulihjy5L8V0rUn3Y54XoHkyBIirdNkJaEfz1o8GXNo>

<sup>201</sup> მარიამ ხმაღაძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=35001125789>

<sup>202</sup> მამუკა ხაზარაძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია ხელმისაწვდომია ანტიკორუფციული ბიუროს ვებგვერდზე <https://monitoring.acb.gov.ge/ka>

<sup>203</sup> ბადრი ჯაფარიძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია ხელმისაწვდომია ანტიკორუფციული ბიუროს ვებგვერდზე <https://monitoring.acb.gov.ge/ka>

<sup>204</sup> ნოდარ დევიძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?l=0&i=01024010645&y=2024>



ქორნერის“ მფლობელია.<sup>205</sup> მან პარტიას შემოწირულების სახით ჯამში 30.000 ლარი გადაურიცხა.<sup>206</sup>

### პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“

პოლიტიკური პარტიის „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემოწირულებებით მიღებული თანხა **3.091.573** ლარია, ხოლო შემოწირულებათა რაოდენობა - **298**.<sup>207</sup> პოლიტიკური გაერთიანების ძირითადი შემომწირველები პარტიის წევრები არიან. მსხვილ შემომწირველებს შორის ფიგურირებს ენმ-ის წევრის, ზურაბ ზაბახიძის სახელი და გვარი. მან პარტიას **60.000** ლარი შესწირა.<sup>208</sup> **იმავე ოდენობის** თანხა აქვს შეწირული მანუჩარ ახალაიას. ზაბახიძის მსგავსად ისიც პოლიტიკური პარტიის წევრია.<sup>209</sup>

მსხვილ შემომწირველებს შორისაა გუბაზ სანიკიძე, ყოფილი პარლამენტარი და ენმ-ის წევრი. მან პარტიას **50.000** ლარი შესწირა.<sup>210</sup>

### პოლიტიკური გაერთიანება „გახარია საქართველოსთვის“

ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე მწირი შემოწირულება აქვს პარტიას „გახარია საქართველოსთვის“. მის მიერ მიღებული დეკლარირებული თანხა **441.909** ლარია. ჯამში პარტიამ შემოწირულება **359-ჯერ მიიღო**.<sup>211</sup>

პარტიის ყველაზე მსხვილი შემომწირველია პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კახაბერ ქემოკლიძე. მის მიერ პარტიისთვის შემოწირული თანხის ოდენობა **48.803** ლარია. მსხვილ შემომწირველებს შორის ასევე ფიგურირებს თამარ გახარია. მის მიერ პარტიისთვის შეწირული თანხის ჯამი **44.820** ლარია.<sup>212</sup> გახარიას სახელზე არცერთი კომპანია არ არის რეგისტრირებული, ის „საქართველოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის პროფესიული ასოციაციის“ თავმჯდომარეა.<sup>213</sup>

<sup>205</sup> შპს „თრეველ ქორნერის“ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხელმისაწვდომია:

[https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFNwn\]q9ZIDjKPEpl\]9TxbrRzTHOMBMZzXp0mvPbfa3R6](https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFNwn]q9ZIDjKPEpl]9TxbrRzTHOMBMZzXp0mvPbfa3R6)

<sup>206</sup> მიხეილ ქვლივიძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=01030021397>

<sup>207</sup> 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

<sup>208</sup> ზურაბ ზაბახიძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=01029004387>

<sup>209</sup> მანუჩარ ახალაიას შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?l=0&i=62006003060&y=2024>

<sup>210</sup> გუბაზ სანიკიძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=01008013611>

<sup>211</sup> 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით

<sup>212</sup> თამარ გახარიას შემოწირულება, ხელმისაწვდომია:

<https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=01009006873>

<sup>213</sup> „საქართველოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის პროფესიული ასოციაციის“ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხელმისაწვდომია:

[https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFAGZFFXPCR8tGgkQfv2xm\]d6mI\[r\]aIi0I21\[ErUb9nU](https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFAGZFFXPCR8tGgkQfv2xm]d6mI[r]aIi0I21[ErUb9nU)

## პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ შემოწირულებები

2024 წლის 8 აპრილს საჯარო რეესტრმა რეგისტრაცია გაუქმა რადიკალურ დაჯგუფება „კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფო“.<sup>214</sup> 2024 წლის ივნისში ცნობილი გახდა, რომ ულტრამემარჯვენე რადიკალური დაჯგუფება „ალტ-ინფო“ არჩევნებში მონაწილეობას „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ სახელით მიიღებდა.<sup>215</sup>

დემოკრატიის კვლევის ცენტრმა შეისწავლა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ შემოწირულებები. პოლიტიკურმა გაერთიანებამ შემოწირულებების მიღება 2024 წლის ივნისიდან დაიწყო. პარტიას **ოცდარვა** შემოწირულება აქვს მიღებული. **შეწირული თანხის დეკლარირებული რაოდენობა კი 34.766 ლარია.**

რაც შეეხება რადიკალური გაერთიანების შემომწირველებს, მათ შორის ფიგურირებს პარტიის წევრების, კახაბერ ელიზბარაშვილის, ირაკლი მარტინენკოს, გოჩა ხუციძისა და მერაბ გიგანის სახელები და გვარები. ისინი „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ აქტიური შემომწირველებიც იყვნენ.<sup>216</sup>

დემოკრატიის კვლევის ცენტრმა იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრში შეამოწმა თითოეული შემომწირველის მონაცემები და დაადგინა, რომ **თორმეტი პირიდან უძრავ ქონებას მხოლოდ ხუთი ფლობს. ყველაზე მსხვილი შემომწირველის, გიორგი გოგავას სახელზე უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული,**<sup>217</sup> **ზურაბ კობახიძის მსგავსად, რომელიც „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ ყველაზე მსხვილი შემომწირველი იყო (შეწირული თანხის ჯამი 41.693 ლარი).**<sup>218</sup>

## 7.3. პოლიტიკური გაერთიანებების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში რეკლამაში დახარჯული თანხა

დემოკრატიის კვლევის ცენტრმა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში შეისწავლა, რამდენს ხარჯავენ პოლიტიკური გაერთიანებები რეკლამაში. მონიტორინგი მიმდინარეობდა 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით.

**27 პარტიიდან რეკლამაში თანხა მხოლოდ ექვსმა პარტიამ დახარჯა.** შემოწირულებების მსგავსად, ყველაზე მეტი ფული რეკლამაში მმართველმა გუნდმა დახარჯა. **რეკლამაში დახარჯული ფული ორ მილიონ ლარს აღემატება.**<sup>219</sup>

<sup>214</sup> „ალტ-ინფო“ პარტია გაუქმებულია“, radiotavisupleba.ge, 8 აპრილი 2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32896009.html>

<sup>215</sup> „ზურაბ მახარაძის თქმით, „ალტ-ინფო“ „პატრიოტთა ალიანსის“ მეშვეობით მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას“, radiotavisupleba.ge, 11 ივნისის 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32987073.html>

<sup>216</sup> 2022 წელთან შედარებით „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ ოფიციალური შემოწირულებები შემცირებულია, 31 მაისი 2023 წელი, ხელმისაწვდომია: <https://www.democracypresearch.org/geo/1210/>

<sup>217</sup> გიორგი გოგავას შემოწირულება, ხელმისაწვდომია: <https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=01017020119>

<sup>218</sup> ზურაბ კობახიძის შემოწირულება, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/YkFRc>

<sup>219</sup> რეკლამაში იგულისხმება როგორც ბანერები, ასევე რეკლამები სოციალურ ქსელებში და რადიოსა და ტელევიზიაში.

პოლიტიკური გაერთიანებების მიერ რეკლამაში დახარჯული ფული:

პარტია	რეკლამაში დახარჯული თანხა (ლარებში)
„ქართული ოცნება“	2.255.358
„კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“	2.199.523
„ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“	406.552
„ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“	66.515
„ევროპული საქართველო“	52.254
„პატრიოტთა ალიანსი“	329